ივერიელი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

პარასკევი
19 ივლისი
1940 წ.
№ 165 (5866)
ფასი 10 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

E75 N165

სამრეწველო პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის

სამრეწველო პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა ყოველთვის წარმოადგენდა სოციალისტური მრეწველობის ცენტრალურ ამოცანას. პარტია და მთავრობა ამ საკითხს ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ და ამახვილებდნენ მასზე სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას. ჯერ კიდევ საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე ამხანაგი სტალინი მრეწველობის ერთერთ მორიგ ამოცანად აყენებდა:

„გაუმჯობესებულ იქნას გამოშვებული საქონლის ხარისხი, აღკვეთილ იქნას არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება და დასჯილ იქნან ყველა ის ამხანაგები, განურჩევლად პიროვნებისა, რომლებიც არღვევენ ან გვერდს უვლიან საბჭოთა ხელისუფლების კანონებს პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტურობის შესახებ“.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დადგენილებაში მოცემულია ნათელი და გარკვეული დირექტივა — „ყოველმხრივ ვზარდოთ პროდუქციის ხარისხი მრეწველობის ყველა დარგში“.

ამ დირექტივას ბევრი ჩვენი ფაბრიკა-ქარხანა მტკიცედ ასრულებს. ისინი იძლევიან პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, საბჭოთა საფაბრიკო მარკის მაღალი ღირსებისათვის ბრძოლის საუკეთესო ნიმუშებს.

მაგრამ იშვიათი არ არის იმის მაგალითებიც, რომ ზოგიერთი ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები წუნდებულ, მდარე ხარისხის პროდუქციასაც იძლევიან.

ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ მთელი რიგი ჩვენი საწარმოები წუნდებულ და უხარისხო, არაკომპლექტურ პროდუქციას უშვებენ, არ იცავენ სავალდებულო სტანდარტს.

ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის შახტებში, ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში ადგილი აქვს სტანდარტის დარღვევას, რის შედეგად ნახშირისა და მადნის ხარისხის დაცემას ვღებულობთ.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში ჯერ კიდევ დიდია მანქანების უხარისხოდ შეკეთების შემთხვევები; მარტო მარტში 204 ასეთი შემთხვევაა აღრიცხული. იქ ხარატი გ. ჯანვერდაშვილი ხშირად წუნდებულ პროდუქციას უშვებს და ყველაფერი ეს ტექნიკური კონტროლის სისუსტით არის გამოწვეული. ტექნიკური საკონტროლო კომისიის ზოგი ინსპექტორი ვერ იჩენს საკმაო ყურადღებას და წუნდებულ პროდუქციას აძლევს ვიზას (მეტრეველი), ზოგიერთ საამქროში (ამწყობი, ელექტროშემდუღებელი, ავტომუხრუჭების განყოფილება) ტექკონტროლი სრულებით არ მუშაობს.

თბილისის კამოს სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ხშირად ირღვეოდა სტანდარტები, არაკომპლექტურ პროდუქციას უშვებდნენ. აპრილში ქარხანამ 19 სახარატო ჩარხი გაუგზავნა დამკვეთს კონტრმოძრავის გარეშე. სამაგრ დეტალებს (ქანჩიკები, ქანჩები) ნაცვლად სტანდარტით დაწესებული მილიმეტრიანი კუთხვილისა, დიუმიანს კუთხავენ.

მაუდ-კამვოლის ფაბრიკა „საბჭოთა საქართველომ“ შარშან 37 ათას მეტრზედ მეტი არახარისხოვანი ქსოვილი დაამზადა. ასეთ მდგომარეობას წელსაც ვხვდებით. წლის პირველ ნახევარში იქ 19 ათასი მეტრი არახარისხოვანი ქსოვილი აღმოაჩნდათ.

მსგავსი ფაქტების მოყვანა შეიძლებოდა სხვა ფაბრიკა-ქარხნებიდანაც. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა, 26 კომისრის სახ. მექანიკური ქარხანა, ფეხსაცმელის ფაბრიკები, სამკერვალო ფაბრიკები, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა და სხვ., არ იცავენ რა სტანდარტებს, საკმაო რაოდენობით უშვებენ დაბალხარისხოვან და წუნდებულ პროდუქციას. ეს უმთავრესად გამოწვეულია სუსტი ტექნიკური კონტროლით, საწარმოთა ხელმძღვანელების დაუდევრობით, პროდუქციის ხარისხისადმი მათი უყურადღებობით.

სწორედ ასეთი სამეურნეო მუშაკების წინააღმდეგ არის მიმართული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა.-წ. 10 ივლისის ბრძანებულება — „სამრეწველო საწარმოთა მიერ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვებისათვის და სავალდებულო სტანდარტების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

ხსენებული ბრძანებულება აწესებს, რომ ცუდი ხარისხის ან არაკომპლექტური სამრეწველო პროდუქციის გამოშვება და სავალდებულო სტანდარტების დარღვევით პროდუქციის გამოშვება წარმოადგენს სახელმწიფოს საწინააღმდეგო, მავნებლობის თანაბარ დანაშაულს, რისთვისაც სამრეწველო საწარმოთა დირექტორები, მთავარი ინჟინრები და ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსები მიცემული იქნებიან სამართალში და სასამართლოს განაჩენით დაისჯებიან 5-დან 8 წლამდე პატიმრობით.

წუნის, დაბალი ხარისხის პროდუქციის პირველ წყაროს შრომის დეზორგანიზატორები, ზარმაცები, ფრენიები, წამგლეჯები წარმოადგენდნენ. ისინი ახალი კანონის ძალით ალაგმულნი იქნებიან.

მაღალხარისხოვანი პროდუქციის უზრუნველყოფის საქმე მთლიანად ხელმძღვანელებზეა დამოკიდებული.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებებს. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ სამრეწველო საწარმოთა ამ უმნიშვნელოვანეს რგოლს აქამდე ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ, არ უწევდნენ მას ანგარიშს, ხოლო თავის მხრივ ამ განყოფილებათა ზოგიერთი უხერხემლო ხელმძღვანელებიც, ერიდებოდნენ რა დირექტორთან დამოკიდებულების გაფუჭებას, ნაკლები პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ თავის საქმეს. ბევრგან პარტიული ორგანიზაციებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ამ უბანს.

ტექნიკური კონტროლისადმი ასეთ ანტისახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას ამიერიდან ბოლო უნდა მოეღოს. ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა ხელმძღვანელები დიდი უფლებებით არიან აღჭურვილნი და მათ კიდეც უნდა გამოიყენონ ეს უფლებები. მათ საწარმოში უნდა შექმნან ისეთი გაუვალი ზღუდე, რომელშიაც ვერავითარი სახის წუნდებული პროდუქცია ვერ გავა. ამაში მათ ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს საქარხნო პარტიული ორგანიზაცია. ქარხნის სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელობა ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ტექნიკურ კონტროლს და გულისხმიერად მოეკიდოს ყველა მის სიგნალს, შეუქმნას მას ნაყოფიერი მუშაობის ყოველგვარი პირობა.

ახალი ბრძანებულება დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს. ისინი მოწოდებულნი არიან ფხიზელ დარაჯად უდგნენ ახალი კანონის ცხოვრებაში განუხრელად გატარებას და დაუნდობლად, განურჩევლად პიროვნებისა, მოსთხოვონ პასუხი ყველა იმათ, ვინც უხარისხო, არაკომპლექტურ, არასტანდარტულ ნაწარმოებს გამოუშვებს, დასაჯონ ისინი კანონის მთელი სისასტიკით.

ჩვენ გვაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკვე მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი ბრძანებულება, რომელიც მიმართულია პროდუქციის ზრდის გადიდებისაკენ, ჩვენი ძლევამოსილი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების განმტკიცებისაკენ. პირველი ბრძანებულება 26 ივნისის თარიღით „8 საათის სამუშაო დღეზე და 7-დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ და საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ უდიდეს შესაძლებლობებს გვიქმნის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის. ახალი ბრძანებულებაც მიმართულია იქითკენ, რომ ეს პროდუქცია იყოს მაღალხარისხოვანი, კომპლექტური, სტანდარტული.

პროდუქციის ხარისხის გადაჭრით ამაღლება ხელს შეუწყობს ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას და ხალხის კეთილდღეობის ზრდას.

საწარმოთა სამეურნეო და ტექნიკური ხელმძღვანელების, ყველა პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის ვალი და ამოცანაა გაშალონ მტკიცე ბოლშევიკური ბრძოლა პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის.

სოციალისტური ინდუსტრია უნდა იძლეოდეს მხოლოდ მაღალხარისხოვან კომპლექტურ, სტანდარტულ პროდუქციას.

საქართველოს ფიზკულტურელთა დელეგაცია პარადისათვის ემზადება

მოსკოვი, 18 ივლისი (**ტელეგრაფით საკ. კორ.**). გუშინ პარადის მომწყობმა, მთავრობის კომისიამ განიხილა და მიიღო საქართველოს ფიზკულტურელთა გამოსვლის პროგრამა. დელეგაცია ამჟამად უკანასკნელ მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებს. ყოველ დილას და საღამოს მოსკოვის განაპირა რაიონის იმ დიდი სახლის პლაცზე, სადაც დელეგაციაა მოთავსებული, ორკესტრის თანხლებით ტარდება რეპეტიციები. ლოტბარ ხახანაშვილის ხელმძღვანელობით სწარმოებს რეპეტიციები მასობრივ სიმღერებში. მხატვარ თ. აბაკელიას მეთვალყურეობით ტარდება უკანასკნელი მომზადება გაფორმების მხრივ.

დელეგაციაში დიდია აღფრთოვანება და ენტუზიაზმი. იგი სიხარულით მოელის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრას წითელ მოედანზე.

ხვალ, დილის 3 საათზე, შესდგება გენერალური რეპეტიცია.

ქრონიკა

სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. **ი. ფ. ლოზბენი** დანიშნა ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილედ და შეიყვანა ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის შემადგენლობაში. (საკდესი).

რწმუნების სიგელის გადაცემა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ ბულგარეთში

სოფია, 18 ივლისი (საკდესი). დღეს სსრ კავშირის ახალმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ბულგარეთში ამხ. ლავრიშჩევმა თავისი რწმუნების სიგელი გადასცა მეფე ბორისს.

მიტინგები კალარაშის თემის სოფლებში

კალარაში (ბესარაბია), 17 ივლისი (საკდესი). კიშინიოვის მაზრის კალარაშის თემის დაბებსა და სოფლებში დიდი აღფრთოვანებით მიმდინარეობს მიტინგები და საუბრები, რომლებიც მიძღვნილია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისადმი — მხარი დაუჭირონ მოლდავეთის ორგანიზაციების წინადადებას იმის შესახებ, რომ ბესარაბიის მოლდაველი მოსახლეობა გაერთიანებულ იქნას მოლდავეთის ასს რესპუბლიკის მოლდაველ მოსახლეობასთან და შეიქმნას მოკავშირე მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

მიტინგებზე გამოსული გლეხები ლაპარაკობდნენ, რომ ბესარაბიის მშრომელთათვის, რომლებიც სულ ახლახან რუმინელი ოკუპანტების უღელქვეშ გმინავდნენ, საბჭოთა მოლდავეთის და მთელი საბჭოთა კავშირის წარმატებანი საუცხოო ზღაპრად გაისმის.

ხალხმრავალ მიტინგზე კალარაშში სიტყვა წარმოსთქვა რკინიგზის მტვირთავმა მუშამ ამხ. დუბოვიკმა. მან სთქვა:

— რუმინელი ბატონების მიერ დაჩაგრულნი და სასტიკად გაყვლეფილნი, ბესარაბიის მშრომელნი ოცნებობდნენ იმ დღეზე, როცა საბჭოთა ხალხი დაეხმარება მათ თავიდან მოიცილოს მჩაგვრელები და შეუერთდეს საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა დიდ ოჯახს. ეს დღე დადგა. წითელმა არმიამ თავისუფლება მიუტანა ბესარაბიისა და ბუკოვინის ჩრდილოეთი ნაწილის ხალხებს. ჩვენ სიხარულით გავიგეთ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წინადადება მოლდავეთის მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

ორატორის სიტყვებს ჰფარავს ოვაცია და აღტაცებული მისალმება ამხანაგ **სტალინის, მოლოტოვისა** და წითელი არმიის პატივსაცემად.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მიტინგის მონაწილენი აცხადებენ ბოლშევიკების პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი სტალინისადმი თავიანთ ერთგულებას.

ვენახების სრულიად-საკავშირო აღწერა

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო აწყობს ვენახის ნარგავთა სრულიად-საკავშირო აღწერას. იგი ჩატარდება 1940 წლის აგვისტოში. აღწერის მიზანია მიღებულ იქნას ცნობები ვენახის ნარგავთა და სანერგეთა ოდენობის და მათი ასაკობრივი და ჯიშობრივი შემადგენლობის შესახებ.

1937 წელს მოწყობილი იყო გამარტივებული აღწერა. არასრული ცნობებით, მაშინ საბჭოთა კავშირში ვენახის ნარგავებს ეკავათ 216.621 ჰექტარი, აქედან მსხმოიარე ასაკის ნარგავებს — 164.923 ჰექტარი. ამჟამად ვენახის ნარგავთა და სანერგეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახებისათვის პენსიის მიცემის შესახებ

საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის 56 მუხლის საფუძველზე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. რიგითი შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს მომხდარ ბრძოლებში ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების გამო ან ფრონტზე დაავადების გამო, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშებად ან მოსამსახურეებად მუშაობდნენ და რომლებსაც ჰქონდათ საშუალო თვიური ხელფასი 400 მანეთამდე, დაუწესდეს პენსია შემდეგი ოდენობით:

I ჯგუფის ინვალიდებს—საშუალო თვიური ხელფასის 100%.

II ჯგუფის ინვალიდებს — საშუალო თვიური ხელფასის 75%.

III ჯგუფის ინვალიდებს — საშუალო თვიური ხელფასის 50%.

იმ პირთა ოჯახებს, რომლებიც ფრონტზე ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ და რომლებიც არმიაში გაწვევამდე ზემოაღნიშნულ ხელფასს იღებდნენ, დაუწესდეს პენსია შემდეგი ოდენობით:

დაღუპულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ერთი წევრი — საშუალო თვიური ხელფასის 35 %.

დაღუპულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ორი წევრი — საშუალო თვიური ხელფასის 45%.

დაღუპულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული სამი და მეტი წევრი — საშუალო თვიური ხელფასის 60%.

საომარი მოქმედების პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახებს უფლება აქვთ უზრუნველყოფილ იქნან დაღუპულთა ოჯახების თანაბრად.

2. სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 400 მანეთს აღემატებოდა, და მათი ოჯახებისათვის ამ დადგენილების I მუხლით დასანიშნავი პენსია გამოიანგარიშება 400 მანეთიდან.

სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელთა საშუალო თვიური ხელფასი 150 მანეთს არ აღწევდა, და მათი ოჯახებისათვის ამ დადგენილების I მუხლით დასანიშნავი პენსია გამოიანგარიშება 150 მანეთიდან.

3. ამ დადგენილების I მუხლში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სამხედრო სამსახურში შესვლამდე მუშებად და მოსამსახურეებად არა მუშაობდნენ, და მათ ოჯახებს დაუწესდეს პენსია შემდეგი ოდენობით:

ა) ინვალიდებს:

I ჯგუფის ინვალიდებს — 150 მანეთი თვეში
II ჯგუფის ინვალიდებს — 120 მანეთი თვეში
III ჯგუფის ინვალიდებს — 90 მანეთი თვეში

ბ) ოჯახებს:

გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ერთი წევრი—50 მანეთი თვეში.

გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ორი წევრი—70 მანეთი თვეში.

გარდაცვალებულთა ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული სამი და მეტი წევრი — 90 მანეთი თვეში.

4. რიგითი შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ინვალიდები გახდნენ ისეთ უბედურ შემთხვევათა გამო, რაც არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან, ან ისეთი დაავადების გამო, რაც არ იყო დაკავშირებული ფრონტზე ყოფნასთან, რომლებიც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშებად ან მოსამსახურეებად მუშაობდნენ, აგრეთვე ზემოაღნიშნული მიზეზების გამო გარდაცვალებულთა ოჯახებს პენსია დაენიშნებათ იმ ოდენობით, რაც მუშათა და მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევის წესით არის დადგენილი საერთო დაავადების ინვალიდთათვის.

პენსიის დასანიშნავად მუშაობის სტაჟის გამოანგარიშების დროს სამხედრო სამსახური განუწყვეტელი მუშაობის სტაჟში ჩაითვლება.

5. ამ დადგენილების 4 მუხლში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც არა აქვთ სოციალური დაზღვევის ხაზით პენსიის დასანიშნავად საჭირო სტაჟი მუშაობისა ან რომლებსაც სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშებად ან მოსამსახურეებად არ უმუშავნიათ, და მათს ოჯახებს პენსია დაენიშნებათ შემდეგი ოდენობით:

ა) ინვალიდებს:

I ჯგუფის ინვალიდებს — 120 მანეთი თვეში
II ჯგუფის ინვალიდებს — 100 მანეთი თვეში
III ჯგუფის ინვალიდებს — 70 მანეთი თვეში

ბ) ოჯახებს:

გარდაცვლილთა ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ერთი წევრი—40 მანეთი თვეში.

გარდაცვლილთა ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული ორი წევრი—60 მანეთი თვეში.

გარდაცვლილთა ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ შრომისუნარმოკლებული სამი და მეტი წევრი—80 მანეთი თვეში.

6. სამხედრო მოსამსახურეებს და მათ ოჯახებს, რომელნიც სოფლად ცხოვრობენ და სოფლის მეურნეობასთან არიან დაკავშირებულნი, პენსია ენიშნებათ იმ პენსიის 80%-ის რაოდენობით, რაც დაწესებულია ამ დადგენილების 3 და 5 მუხლით.

7. ვადიანი სამსახურის უმცროსი უფშემადგენლობის პირთ, აგრეთვე მათი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ ოჯახებს, პენსია ენიშნებათ იმ პენსიაზე 25%-ით მეტი, რაც დაწესებულია ამ დადგენილების 1, 2, 3, 4, 5 და 6 მუხლით.

8. გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის პენსიის დანიშვნის საკითხის გადაჭრისას შრომისუნარმოკლებულად ითვლებიან მის კმაყოფაზე მყოფნი:

ა) შვილები 16 წლისაზე ნაკლები ასაკისა, ხოლო მოსწავლენი 18 წლისაზე ნაკლები ასაკისა;

ბ) ძმები და დები 16 წლისაზე ნაკლები ასაკისა, ხოლო მოსწავლენი 18 წლისაზე ნაკლები ასაკისა, თუ მათ არა ჰყავთ შრომისუნარიანი მშობლები;

გ) შვილები, ძმები და დები, რომელთაც შრომის უნარი დაჰკარგეს 18 წლის ასაკამდე;

დ) 60 წელზე ხნიერი მამა, 55 წელზე ხნიერი დედა და ცოლი;

ე) I და II ჯგუფის ინვალიდი ცოლი და მშობლები, დამოუკიდებლად ასაკისა.

შენიშვნები: 1. ამ მუხლში აღნიშნული პირები სამხედრო მოსამსახურის კმაყოფაზე ითვლებიან, თუ მათი არსებობის მუდმივ და ძირითად წყაროს წარმოადგენდა დახმარება სამხედრო მოსამსახურის მხრივ.

2. სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებს, რომელნიც მისი ოჯახისაგან განცალკევებით ცხოვრობენ სხვა ადგილას (ქალაქში, რაიონში), პენსია ეძლევათ ოჯახისათვის დანიშნული პენსიის საერთო თანხის შესაბამისი წილის ოდენობით.

9. პენსია ეძლევათ მთლიანად, დამოუკიდებლად შემოსავლისა:

ა) I და II ჯგუფის სამხედრო ინვალიდებს;

ბ) ოჯახის წევრ პენსიონერებს— 60 წელზე ხნიერ მამაკაცებს და 55 წელზე ხნიერ ქალებს და იმათ, ვინც მიკუთვნებულია ინვალიდობის I და II ჯგუფებს.

III ჯგუფის სამხედრო ინვალიდებს, რომელთაც აქვთ შემოსავალი თვეში 200 მანეთზე მეტი საწარმოებსა ან დაწესებულებებში მუშაობიდან და თვეში 100-ზე მეტი მანეთი—სოფლის მეურნეობაში მუშაობიდან, პენსია შესაბამისად უმცირდებათ იმ თანხით, რომელიც შემოსავლის აღნიშნულ ოდენობას აღემატება, მაგრამ ყველა შემთხვევაში პენსიონერი ინარჩუნებს თავისი პენსიის სულ ცოტა 50%-ს.

10. თუ გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის იმ ოჯახის შემადგენლობაში, რომელსაც პენსიის მიღების უფლება არა აქვს, ცვლილება მოხდა, რის შედეგადაც ოჯახს პენსიის მიღების უფლება ეძლევა (ცოლი ან მშობლები I ან II ჯგუფის ინვალიდები გახდნენ, ან მე-8 მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნულ ასაკს მიაღწიეს), მაშინ ოჯახს მომხდარი ცვლილების დღიდან ენიშნება პენსია.

11. თუ გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის იმ ოჯახის შემადგენლობაში, რომელიც პენსიას იღებს, შემდეგში მოხდა ცვლილება, რომელიც ოჯახს ან მის ცალკეულ წევრებს პენსიის მიღების უფლებას ართმევს (თუ შვილებმა, ძმებმა ან დებმა 16 წლის ასაკს მიაღწიეს, ხოლო მოსწავლეებმა — 18 წლისას, თუ ცოლი ან მშობლები საექიმო შემოწმებისას გადაყვანილი იქნენ ინვალიდობის III ჯგუფში), მაშინ ეს ოჯახი ან მისი ცალკეული წევრები პენსიის მიღების უფლებას ჰკარგავენ ოჯახის შემადგენლობაში მომხდარი ცვლილების მომენტიდან.

12. პენსიებს ნიშნავენ სოციალური დაზღვევის რაიონულ და საქალაქო განყოფილებებთან არსებული კომისიები, რომლებშიაც შედიან: სოციალური დაზღვევის განყოფილების გამგე (კომისიის თავმჯდომარე), მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს ერთი დეპუტატი და სამხედრო კომისარიატის წარმომადგენელი.

პენსიებს გასცემენ სოციალური დაზღვევის რაიონული (საქალაქო) განყოფილებანი.

13. გავრცელდეს სამხედრო ინვალიდებზე სოციალური დაზღვევის საერთო კანონმდებლობა ბავშვის დაბადების გამო დახმარების და ოჯახის წევრის დასაფლავებისათვის დახმარების ოდენობისა და მისი გაცემის წესის მხრივ.

გარდაცვლილი სამხედრო ინვალიდების დასასაფლავებლად დახმარება გაიცემა ორი თვის პენსიის რაოდენობით.

14. ეს დადგენილება ძალაში შედის 1940 წლის 1 ივლისიდან და ვრცელდება ვადიანი სამსახურის რიგითი და უმცროსი უფშემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებზე, რომელნიც ინვალიდები გახდნენ 1938 წლის 1 იანვრის შემდეგ, აგრეთვე იმ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებზე, რომელნიც ამ ვადის შემდეგ გარდაიცვალნენ.

15. პენსიის არსებული ოდენობა 50%-ით დიდდება სამოქალაქო ომის, მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო სამსახურის ინვალიდთათვის, ყოფილ წითელგვარდიელთა და წითელ პარტიზანთათვის და იმპერიალისტური ომის ინვალიდთათვის, აგრეთვე ამ ინვალიდთა ოჯახის წევრთათვის. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

იმ ტრაქტორისტთა და კომბაინერთა სამუშაოდან თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ, რომელნიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ

კოლმეურნეობათა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მრავალი თხოვნის გამო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. გავრცელდეს ტრაქტორისტებზე, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებზე და მათ თანაშემწეებზე, რომლებიც მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში მუშაობენ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების მოქმედება, გარდა 1 და 2 მუხლისა, რომლებიც აღნიშნული კატეგორიის მუშაკებზე არა ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო ს მუშაოს სეზონური ხასიათის გამო.

კომბაინერებზე, როგორც მტს-ების შტატის მუშებზე, მთლიანად გავრცელდეს 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება.

2. ეს ბრძანებულება ძალაში შედის 1940 წლის 18 ივლისიდან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. კალინინი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი 1940 წ. 17 ივლისი.

165.204.000 მანეთი—16 დღეში

მესამე სტალინური ხუთწლედის მესამე წლის გამოშვების სესხზე ხელის მოწერა განსაკუთრებული წარმატებით მიმდინარეობს. საქართველოს სსრ შემნახველ სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველოს ცნობით, 18 ივლისისათვის ჩვენს რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 165.204.000 მანეთის სესხი. მუშა-მოსამსახურეებმა სოციალისტურ სახელმწიფოს სესხად მისცეს 135.424.000 მანეთი, კოლმეურნეებს შორის კი ხელმოწერამ 30 მილიონ მანეთს მიაღწია.

თბილისის მშრომელები სესხზე ხელის მოწერის მისაბაძ მაგალითს იძლევიან. იმავე დროის განმავლობაში დედა-ქალაქის 192.386 მშრომელმა ხელი მოაწერა 56.952.355 მანეთზე, აქედან ლენინის რაიონში—6.509.000 მანეთზე, მოლოტოვის რაიონში—5.253.665 მან., 26 კომისრის—6.297.155 მან., ბერიას—14.242.850 მან., კიროვის—7.032.240 მან., სტალინის — 11.302.075 მან., ორჯონიკიძის რაიონში — 6.315.370 მანეთზე.

ამასთანავე თბილისის დიასახლისებმა სესხის ანგარიშში ნაღდად გადაიხადეს 429.465 მანეთი.

მთელს რესპუბლიკაში კოლმეურნეებმა ნაღდად შეიტანეს — 4.094.000 მანეთი.

უკანასკნელი ცნობები

მნიშვნელოვანი ციფრები

ტალინი, 18 ივლისი (საკდესი). ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები უმაგალითო აღფრთოვანებითა და მშრომელი მასების დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩატარდა. ყველა რეგისტრირებულ ამომრჩეველთა 84,1 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა კენჭისყრაში.

სახელმწიფო კრებისა და სახელმწიფო სათათბიროს წინანდელ არჩევნებში ამომრჩეველთა რიცხვი უდრიდა 60-70 პროცენტს, ხოლო ცალკეულ საარჩევნო ოლქებში მათი რიცხვი უფრო მცირე იყო. იმ ამომრჩეველთა აბსოლუტური რიცხვი, რომელნიც სახელმწიფო კრებისა და სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში იღებდნენ მონაწილეობას, ახლანდელი არჩევნების მონაწილეთა რიცხვზე ბევრად ნაკლებია. მაგალითად, პირველი სახელმწიფო კრების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 471.228 ამომრჩეველმა, სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში 1938 წელს — 450.457 ამომრჩეველმა. ხოლო 1940 წლის 14 და 15 ივლისს არჩევნებში 591.030 ამომრჩეველმა მიიღო მონაწილეობა. ახლანდელი არჩევნები სრულუფლებიანი სახალხო წარმომადგენლობის არჩევნები იყო.

განსხვავება სახელმწიფო სათათბიროს ძველსა და ახალ არჩევნებს შორის ნათლად ჩანს იმ ხმების რიცხვის შედარებით, რომლებიც ამომრჩევლებმა კანდიდატებს მისცეს. ძველი რეაქციული სათათბიროს დეპუტატების დიდი უმეტესობა ამომრჩეველთა ხმების 23-47 პროცენტს აგროვებდა, და ძველი რეაქციული სათათბიროს მხოლოდ 7 დეპუტატმა შეაგროვა ხმების 50 პროცენტზე მეტი. აბსოლუტური ციფრებით ულუოტს-იურიმაას მთავრობის ჯგუფს, რომელიც სათათბიროს შემადგენლობის უმეტესობას წარმოადგენდა, ხმა მისცა სულ 211-260 ამომრჩეველმა, ე. ი. არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა ნახევარზე ნაკლებმა. არსებითად წინანდელ სათათბიროს არავითარი კანონიერი რწმუნება არ ჰქონია ხალხის სახელით გადაეწყვიტა საკითხები.

14 და 15 ივლისს არჩეული სახელმწიფო სათათბიროს ახალი შემადგენლობა ხალხის სრული ნდობით არის აღჭურვილი. „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს ხმა მისცა 548.631 კაცმა, ანუ კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 92,8 პროცენტმა.

„ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ ბრწყინვალე გამარჯვება მოწეულია ესტონეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. „ესტონელი ხალხის დიდი უმრავლესობა, — სწერს გაზეთი „კომუნისტი“, — მთლიანად მიემხრო ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის პლატფორმას. ხალხმა სავსებით დაუჭირა მხარი ამ პლატფორმას. „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ ბრწყინვალე გამარჯვება სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში ესტონეთის კომუნისტური პარტიის გამარჯვებაა. ეს გამარჯვება მოწმობს, რომ ესტონეთის კომუნისტურ პარტიას ზურგს უმაგრებს მთელი ესტონეთის მშრომელი ხალხი. მარცხი განიცადა ხალხის მტრებისა და მათი აგენტების ცდამ ხელი შეეშალათ არჩევნებისათვის. ამიერიდან მშრომელი ხალხი ესტონეთის ბატონ-პატრონი გახდა და იგი ბატონ-პატრონი იქნება სამუდამოდ. ესტონელმა ხალხმა არჩევნებში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვების აღსანიშნავად მძლავრი დემონსტრაციები გამართა მთელს ესტონეთში. გუშინ ტალინში ათი ათასობით მუშა, მოსამსახურე და ინტელიგენტი გამოვიდა დარაზმულად, წითელი ალმებითა და ლოზუნგებით; ისინი ცხადჰყოფდნენ თავიანთ გამარჯვებას, აყენებდნენ თავიანთ ახალ მოთხოვნებს. მშრომელთა ასეთივე ძლიერი დემონსტრაციები გაიმართა ესტონეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში“.

გაზეთი „რახვა ჰელი“ სწერს: „არჩევნებში მუშების, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის გამარჯვებამ და ხალხის მტრების დამარცხებამ სავსებით ახალი პოლიტიკური სიტუაცია შექმნა. ცხადია, რომ ჩვენს წინაშე არის ამოცანა ესტონეთის ძირფესვიანი გარდაქმნისა როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ დარგში. მთელს ესტონეთში 17 ივლისს მოწყობილმა დემონსტრაციებმა, რომლებმაც თავისი მასშტაბით წინასაარჩევნო გრანდიოზულ მიტინგებს გადააჭარბეს, წამოაყენეს ახალი პოლიტიკური მოთხოვნები — მშრომელთა საბჭოების შექმნა, ესტონეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკის გარდაქმნა ესტონეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, ესტონეთის შესვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირში“.

მთავარი საარჩევნო კომიტეტის ცნობა ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგთა შესახებ

ტალინი, 17 ივლისი (საკდესი). მთავარი საარჩევნო კომიტეტის ცნობაში ესტონეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შედეგების შესახებ ნათქვამია:

„საოლქო კომიტეტთა მასალების მიხედვით, არჩევნები 1940 წლის 14 და 15 ივლისს მოხდა 80-ვე საარჩევნო ოლქში. „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ 80-ვე კანდიდატი, რომელნიც რეგისტრირებული იყვნენ საოლქო საარჩევნო კომიტეტების მიერ, მთავარმა საარჩევნო კომიტეტმა არჩეულად აღიარა.

საარჩევნო სიებით რეგისტრირებულია ხმის მიცემის უფლების მქონე 703.059 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 591.030 ამომრჩეველმა, ანუ იმ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვის 84,1 პროცენტმა, რომელთაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ.

80-ვე საარჩევნო ოლქში „ესტონეთის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს მისცეს 548.631 ხმა, ანუ იმ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 92,8 პროცენტმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კენჭისყრაში.

აღიარებულია გაუქმებულად 42.399 ბიულეტენი ანუ 7,2 პროცენტი, ამათ რიცხვში შედის გაფუჭებული ბიულეტენები და ის ბიულეტენები, რომლებშიც ამოშლილია კანდიდატთა გვარები“.

ესტონეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დროს 1938 წლის 24-25 თებერვალს მონაწილეობა მიიღო 450.457 ამომრჩეველმა, ესე იგი 140.573 ამომრჩევლით (13,2 პროცენტით) ნაკლებმა, ვიდრე 1940 წლის 14 და 15 ივლისის არჩევნებში.

საბოლოო ცნობები იმ ამომრჩეველთა რიცხვის შესახებ, რომლებმაც ხმა მისცეს „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს

რიგა, 18 ივლისი (საკდესი). ლატვიის სეიმის არჩევნების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საბოლოო ცნობები იმ ამომრჩეველთა რიცხვის შესახებ, რომლებმაც ხმა მისცეს „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს.

რიგაში „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს ხმა მისცა 219.526 ამომრჩეველმა, ვიძემში — 276.655, ლატგალიაში — 304.982, კურზემში — 175.589, ზემგალში — 179.155 ამომრჩეველმა. სულ მთელ ლატვიაში „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს ხმა მისცა 1.155.807 ამომრჩეველმა.

შესანიშნავი შედეგები

რიგა, 16 ივლისი (საკდესი) გაზეთი „პროლეტარსკაია პრავდა“, ლატვიის სეიმის არჩევნების წარმატებით დამთავრებასთან დაკავშირებით აქვეყნებს ლატვიის პოლიტიკურ მოღვაწეთა განცხადებებს.

„არჩევნები დამთავრდა, — განაცხადა ლატვიის პრემიერ მინისტრმა კირხენშტეინსმა. — ლატვიის ამომრჩევლებმა თავისი გადამწყვეტი სიტყვა სთქვეს. ყველა, ვინც მონაწილეობას იღებდა არჩევნებში, ამიერიდან კიდევ უფრო მეტი ენერგიით განამტკიცებს დამოუკიდებელი ლატვიის კეთილდღეობას. ამას ადასტურებს არჩევნების მონაწილეთა უდიდესი რაოდენობა.

ახალი სეიმი მალე შეუდგება მუშაობას. იგი შეიმუშავებს ახალ კონსტიტუციას, რომელიც ლატვიის მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს დამოუკიდებელი და თავისუფალი ხალხის ყველა უფლებას და პირველ რიგში იმის უფლებას, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილებანი ქვეყნის მომავალი ბედის შესახებ, ლატვიასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის დადებული ურთიერთ დახმარების პაქტის შესაბამისად“.

ლატვიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სპურემ სთქვა: „1940 წლის 14 და 15 ივლისის ისტორიული არჩევნები ლატვიის მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის თავისუფალი ნება-სურვილის ჭეშმარიტ გამოხატულებას წარმოადგენენ. ახალი სახალხო სეიმი ხალხის ნება-სურვილის თანახმად დასახავს ლატვიის რესპუბლიკის შემდგომ გზებს. სეიმი, უწინარეს ყოვლისა, მთლიანად შეასრულებს „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ პლატფორმის ყველა პუნქტს. ხელფასის გადიდებას, შრომის პირობების გაუმჯობესებას, მოხუცებულობისა და შრომის ინვალიდობის უზრუნველყოფას, ხელოვნებისა და კულტურის გაფურჩქვნას — ყოველივე ამას მოგვცემს ახალი სეიმი“.

რამ შეუწყო ხელი „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ გამარჯვებას

რიგა, 17 ივლისი (საკდესი). ლატვიის სეიმის არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ შემდეგი განაცხადა: „არჩევნებში მოსახლეობის მონაწილეობის მაღალი პროცენტი სრულიად უმაგალითოა ლატვიის ისტორიაში. ამ ციფრმა 10 პროცენტით გადააჭარბა ყველაზე მაღალ ციფრს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს, როდესაც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 84,9 პროცენტმა. წინანდელმა რეაქციულმა მთავრობებმა ხალხს წაართვეს იმის უფლება, რომ მონაწილეობა მიეღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.

ისინი ისეთ პოლიტიკას ეწეოდნენ, რომელიც ლატვიის მოქალაქეებს თავისი სამშობლოს აღორძინების შესაძლებლობის რწმენას უკარგავდა. პლუტოკრატიული ხროვა რეაქციულ საშინაო პოლიტიკას ეწეოდა. იგი ლახავდა მშრომელთა სოციალურ უფლებებს და მტაცებლურ ექსპლოატაციას უწევდა ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს.

ლატვიის ხალხმა შეიგნო, რომ მხოლოდ აღმოსავლეთელ დიდ მეზობელთან — საბჭოთა კავშირთან მჭიდრო თანამშრომლობა შეუქმნის მას ყოველგვარ წინამძღვარს კულტურის განვითარებისა და მატერიალური კეთილდღეობის ზრდისათვის.

ლიტვის რესპუბლიკის ახალი სეიმის შემადგენლობა

კაუნასი, 17 ივლისი (საკდესი). ლიტვის სახალხო სეიმში 79 დეპუტატია, მათ შორის 26 გლეხი, 19 მუშა, 4 ჯარისკაცი, 5 მწერალი, 1 ჟურნალისტი, 1 ეკონომისტი, 2 იურისტი, 3 არტისტი, 3 მედიცინის მუშაკი, 4 აგრონომი, 4 მასწავლებელი, 3 ტექნიკოსი და 4 მოსამსახურე.

არჩეულთა შორის არიან: ლიტვის განათლების მინისტრი ვენცლოვა — მწერალი, მიწათმოქმედების მინისტრი მიცკისი — აგრონომი, იუსტიციის მინისტრი პაკარკლისი — იურისტი, შინაგან საქმეთა მინისტრი გედვილასი — იურისტი, პროფკავშირთა ცენტრალური ბიუროს თავმჯდომარე შუმაუსკასი — მუშა, პეტრას ცვირკა — მწერალი, სტაშკევიჩიუტე — ოპერის არტისტი ქალი, კაუნასის ქალაქის თავი, დოქტორი ჰარმუსი — ცნობილი ექიმი და სხვ.

ლატვიის ხალხის უმაგალითო პოლიტიკური აქტივობა

რიგა, 17 ივლისი (საკდესი). ლატვიის პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცნობას ლატვიის სეიმის არჩევნების შედეგების შესახებ.

„ლატვიაში პროლეტარული რევოლუციის ჩახშობის შემდეგ, — სწერს გაზეთი „ცინია“, — რეაქციული ბურჟუაზია ლატვიაში ზედიზედ 15 წლის განმავლობაში ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი ბატონობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მეთოდებით. სამეურნეო-პოლიტიკური და რევოლუციური კრიზისის გაღრმავებამ ლატვიის მსხვილი ბურჟუაზია აიძულა აშკარა რეაქციულ ტერორისტულ დიქტატურაზე გადასულიყო, რაც მიმართული იყო მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ, ხალხის ფართო მასების წინააღმდეგ. სხვანაირად ბურჟუაზია ვერ შესძლებდა თავისი ბატონობის შენარჩუნებას ლატვიაში. აი ამიტომ იყო, რომ 1934 წლის 15 მაისს ბურჟუაზიის რეაქციულმა ელემენტებმა პუტჩი მოაწყეს, გარეკეს სეიმი, გაანადგურეს მუშათა ორგანიზაციები და მთელი ძალა-უფლება ვიწრო წრისაგან შემდგარ რეაქციულ ხროვას გადასცეს, რომელმაც ლატვია რეაქციის ბნელეთში მოაქცია, რაც ექვს წელიწადს გრძელდებოდა.

1940 წლის 14-15 ივლისს ხალხმა თავისი განაჩენი გამოიტანა, რითაც თავისი დამოკიდებულება გამოსთქვა პლუტოკრატიული ხროვისადმი და ლატვიის არსებობის მთელი დროის განმავლობაში პირველად აირჩია ნამდვილად თავისუფლად თავისი სეიმი. თუ როგორი იყო ხალხის გადაწყვეტილება — ახლა ეს ყველამ იცის.

ამ არჩევნების დროს ხალხმა უმაგალითო პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა. „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირს“, რეაქციული ხროვის საწინააღმდეგოდ, ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რიცხვის 97,6 პროცენტმა. ბიულეტენები, რომლებშიაც წაშლილია „ლატვიის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატთა გვარები, არჩევნებში მონაწილეობის მიმღებ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მხოლოდ 2,4 პროცენტს შეადგენს. ეს ორი ციფრი მოწმობს ხალხის დამოკიდებულებას რეაქციული პლუტოკრატიული ხროვისადმი. ხალხი პლუტოკრატიული ხროვის წინააღმდეგია“.

სმეტონას „დემოკრატია“

კაუნასი, 17 ივლისი (საკდესი). სმეტონას ხროვა, რომელმაც 1926 წელს ხელთ იგდო ძალაუფლება ლიტვაში, მთელი ათი წლის განმავლობაში ემზადებოდა თავისი პირველი და უკანასკნელი სეიმის არჩევნებისათვის. სმეტონელებმა გააუქმეს ლიტვის რესპუბლიკის კონსტიტუცია, მოსპეს ხალხის დემოკრატიულ უფლებათა უკანასკნელი უბადრუკი ნაშთები და შეიმუშავეს ლიტვის სეიმის არჩევნების ისეთი წესები და ნორმები, რომლებმაც თითქმის მთლად წაართვა საარჩევნო უფლებები ხალხის ყველაზე უფრო აქტიურ, რევოლუციურ ნაწილს. არჩევნებში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო ახალგაზრდობას, რომელიც 24 წლის ასაკს არ იყო მიღწეული (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ლიტვის საპატიმროებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში მოთავსებულთა უმეტესობა 24 წლისაზე ახალგაზრდა იყო). საარჩევნო ყუთებთან არ უშვებდნენ მოქალაქეებს, რომელთა შემოსავალი ისე მცირე იყო, რომ მათ არცერთი ცენტი გადასახადის გადახდა არ შეეძლოთ. გარდა ამისა, ამომრჩეველთათვის შემოღებული იყო განათლების მეტად მაღალი ცენზი. ამის შედეგად ლიტვის 2.399.529 მცხოვრებიდან 1936 წელს, როცა სეიმს „ირჩევდნენ“, ხმის მიცემის უფლება ჰქონდა მხოლოდ 880.923 კაცს. მაგრამ არჩევნებში მონაწილეობის მიღების ამ უფლებით ძალიან ცოტა სარგებლობდა. სმეტონას ხელისუფლების წარმომადგენელნი არჩევნებამდე წინასწარ აფრთხილებდნენ ყველა სახელმწიფო მოსამსახურეს, რომ ისინი ავტომატურად დაკარგავენ სამსახურს, თუ მონაწილეობა არ მიიღეს არჩევნებში. მეწარმენი და მემამულენი, რომელნიც მთავრობასთან ერთად მოქმედებდნენ, დათხოვნით დაემუქრნენ სოფლის მეურნეობის მუშებს და მოჯამაგირეებს, თუ ისინი უარს იტყოდნენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ალიტუსის, კაუნასის, ტელშაისისა და სხვა საარჩევნო ოლქებში სმეტონას ხელისუფლების წარმომადგენლებმა, შეაჯამეს რა არჩევნების პირველი დღის შედეგები, არადამაკმაყოფილებლად სცნეს იგი და გამოაცხადეს, რომ ყველა იმ ამომრჩევლის წინააღმდეგ, რომელსაც პასპორტში არ ექნება აღნიშვნა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ, გარკვეულ რეპრესიებს მიმართავენ. მოსამსახურეებსა და მუშებს დათხოვნით ემუქრებოდნენ, გლეხებს კი — ჯარიმებით.

რამდენადაც პირველ დღეს პასპორტში ნიშანი არ ჰქონდათ, ისინიც კი, ვინც უკვე ხმა მისცა, იძულებული იყვნენ მეორედ მიეცათ ხმა. არჩევნების უსინდისო ფალსიფიკაციამ საარჩევნო კომედიის დამდგმელები მაინც ვერ დააკმაყოფილა. მათ მოიშველიეს სტატისტიკა. არჩევნების შედეგები ისე უხეშად გააყალბეს, რომ მათ არავინ დაუჯერა. იმ ცნობის თანახმად, რომელიც ამჟამად სეიმში ინახება, ალიტუსის ოლქში 111.748 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 87.083 კაცმა, რაც 77,9 პროცენტს შეადგენს. საკდესის კორესპონდენტს ალიტუსში აცნობეს, რომ ამ არჩევნებში ნამდვილად მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 33 პროცენტმა. იგივე ცნობა ამტკიცებს, რომ კაუნასის საარჩევნო ოლქის 173.008 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 124.585 კაცმა, ანუ ამომრჩეველთა 72 პროცენტმა. ახლა გამორკვეულია, რომ კაუნასის საარჩევნო ოლქში კენჭისყრაში ნამდვილად მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 36 პროცენტმა.

არჩევნების ფალსიფიკატორები ურცხვად სწერდნენ, რომ მარიამპოლის საარჩევნო ოლქში, სადაც არჩევნებამდე ერთი წლის წინათ სისხლში ჩაახრჩეს მშიერ გლეხთა აჯანყება, 127.433 ამომრჩევლიდან არჩევნებში თითქოს მონაწილეობა მიიღო 70.676 კაცმა — 55,6 პროცენტმა. დამსწრენი ამტკიცებენ, რომ მარიამპოლის საარჩევნო ოლქში მიცემული ხმის რაოდენობა 20 პროცენტს არ აღემატებოდა.

ფალსიფიკატორებმა პრესაში გამოაცხადეს, რომ 880.923 ამომრჩევლიდან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 616.446 კაცმა, ე. ი. 70 პროცენტზე მეტმა. ნამდვილად კი დოკუმენტური მასალით და ცნობებით გამორკვეულია, რომ სმეტონას სეიმის არჩევნებში 1936 წელს მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა მხოლოდ 35-38 პროცენტმა. ასეთია ლიტვის გუშინდელი დღე, უუფლებობითა და თვითნებობით აღსავსე. ეს წარსული ისტორიას ჩაბარდა. ლიტველი ხალხი ამჟამად ბედნიერ და თავისუფალ ცხოვრებას აშენებს.

პალატების ლიკვიდაცია ესტონეთში

ტალინი, 17 ივლისი (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით ლიკვიდირებულია ხელოსანთა, მასწავლებელთა, ეგრეთწოდებული მუშათა პალატა და მოსამსახურეთა პალატა. ამ პალატების ფუნქციებს სათანადო სამინისტროები შეასრულებენ.

ლიტვის სეიმის დეპუტატები

ალიტუსი (ლიტვა). 17 ივლისი (საკდესი). ლიტვის წინანდელ სეიმში ალიტუსის მაზრას, სადაც უღარიბესი გლეხობა სახლობს, თავის წარმომადგენლებად ჰყავდა მემამულე მინისტრი, მემამულე ქსენძი, უბრალო დიდი მემამულე და სმეტონას ორი ერთგული დამქაში — ხაზინის მძარცველი მოხელეები.

ლიტვის სახალხო სეიმში ალიტუსის მაზრამ გაგზავნა 3 მცირემიწიანი გლეხი, საშუალო გლეხი, მელითონე, პურის მცხობელი, იურისტი, ფარმაცევტი და მწერალი.

წინანდელი არჩევნების დროს საარჩევნო სიაში პირველად იყო დასახელებული მემამულე — შინაგან საქმეთა მინისტრი ჩიაპლიკასი.

„ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატთა სიაში, იმ კავშირის კანდიდატთა სიაში, რომელმაც სახალხო სეიმის ახლადჩატარებული არჩევნების დროს ხმების თითქმის 100% მიიღო, პირველად ეწერა მცირემიწიანი გლეხი ტომას ტამულიავიჩიუსი.

ჯერ კიდევ 1935 წელს, როდესაც ჩიაპლიკასმა ბრძანება გასცა სროლა აეტეხათ იმ გლეხებისათვის, რომლებმაც მემამულეთა თვითნებობის წინააღმდეგ აღშფოთებით აღიმაღლეს ხმა, ტამულიავიჩიუსმა მოუწოდა ვარენის თემის გლეხებს რევოლუციური ბრძოლისაკენ და წამოაყენა ლოზუნგი: „ძირს ჯალათი ჩიაპლიკასი“. მას შემდეგ ერთ წელზე ნაკლებმა განვლო და ტამულიავიჩიუსის და მისი მეგობრების მუშაობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ჯალათი ჩიაპლიკასი, რომელმაც სეიმის არჩევნების დროს ალიტუსის მაზრაში თავისი კანდიდატურა წამოაყენა, ფაქტიურად გააშავეს. საარჩევნო ურნებში აღმოჩენილ იქნა ბარათები შემდეგი წარწერით: „ძირს ჯალათი!“. მინისტრმა მხოლოდ 7 ხმა მიიღო. მაგრამ ამან როდი დაალონა ჩიაპლიკასი, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა „არჩევნებს“. სხვადასხვა მახინაციების მეოხებით იგი „არჩეულ იქნა“ სეიმში.

ტამულიავიჩიუსის მოქმედებით გააფთრებული შინაგან საქმეთა მინისტრი მასზე დაჟინებით ნადირობდა. ბოლოს, ჟანდარმებმა მოახერხეს მისი დაჭერა და საპატიმროში ჩაგდება, ხოლო შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გაჰგზავნეს. მაგრამ ერთი წლის შემდეგ ტამულიავიჩიუსი კვლავ თავის სამშობლო მაზრაში ჩამოვიდა. დღისით იგი მეურნეობაში მუშაობდა (ამ ადგილებში მიწა ქვიშიანი და მწირია, დიდ შრომას მოითხოვს), ხოლო ღამით ტყეში ან ერთერთ ქოხში თავს მოუყრიდა გლეხებს და ესაუბრებოდა საბჭოთა კავშირის შესახებ, უკითხავდა რევოლუციურ ლიტერატურას. ზოგჯერ თან წაიღებდა პურის ნატეხს, ათიოდე კარტოფილს და მაზრაში დადიოდა. დღისით ტყეში იმალებოდა, რომ პოლიციას ხელში არ ჩავარდნოდა, ღამით კი სოფლიდან სოფელში, ხუტორიდან ხუტორში გადადიოდა და თავის ამხანაგებს ეძებდა.

— თავი მოუყარეთ ისეთ გლეხებს, რომლებსაც შეუძლიათ ენას კბილი დააჭირონ, — ეუბნებოდა იგი მათ. — უნდა მოვილაპარაკოთ.

დღითი-დღე დაუცხრომლად მუშაობდა იგი გლეხთა პოლიტიკურ აღზრდაზე. ხოლო როცა ალიტუსის მაზრაში არალეგალური კომუნისტური ორგანიზაცია შეიქმნა, რომელშიც 240 წევრი შედიოდა, ტამულიავიჩიუსი არჩეულ იქნა მისი სამაზრო კომიტეტის მდივნად. ეს 240 კაცი ალიტუსის მაზრის გლეხთა ნამდვილი წინამძღოლები იყვნენ. ბოლოს იგი დააპატიმრეს და ერთი წლით გადაასახლეს საკონცენტრაციო ბანაკში. ტამულიავიჩიუსი მალე გამოიქცა საკონცენტრაციო ბანაკიდან და არალეგალურად ცხოვრობდა თავის მაზრაში. გლეხები თავგამოდებით იცავდნენ მას პოლიციისაგან.

სმეტონას ჯაშუშები მას კვალდაკვალ მისდევდნენ, მაგრამ მისი შეპყრობა მაინც ვერ შესძლეს. მხოლოდ ივლისში მოახერხეს მისი შეპყრობა და კვლავ საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს.

ტამულიავიჩიუსს მისდევს დაუგოვის თემის სოფელ პაპიშკის საშუალო გლეხი კაზის ბალჩიუნასი. მას კარგად იცნობს მთელი მაზრა გლეხთა 1935 წლის ღირსშესანიშნავი აჯანყების დროიდან, როცა მარიამპოლის მაზრაში გლეხთა დახვრეტის შემდეგ ბალჩიუნასმა ერთერთ სოფელში ბაზარზე თავმოყრილ გლეხებს მიმართა სიტყვით და მოუწოდა აქტიურად გამოსულიყვნენ წყეული სმეტონას რეჟიმის წინააღმდეგ. ამ სიტყვისათვის იგი ექვსი თვით დააპატიმრეს, მაგრამ საპყრობილემ იგი ვერ გასტეხა. უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ბალჩიუნასი 6-ჯერ იყო დაპატიმრებული, 6-ჯერ მიესაჯა მას სხვადასხვა ვადით პატიმრობა.

მის გვერდით არის სიმნოვის თემის სოფელ სკრიაგალიუს მცირემიწიანი გლეხი ვლადას იაცუნისკასი. ისევე როგორც ბალჩიუნასი, გლეხებს უყვართ იგი იმისათვის, რომ ღირსეულად იბრძოდა ხალხის ინტერესებისათვის, მემამულეთა წინააღმდეგ. იგი ორჯერ იყო დაპატიმრებული ჟანდარმერიის მიერ, იაცუნისკასი 2 წლით გადასახლებული იყო სუვალკაში.

ამ გლეხთა სახელების გვერდით არის მელითონე მუშის რამანაუსკასის სახელი. რამანაუსკასი ცნობილია როგორც ხალხის ერთგული შვილი არა მარტო ალიტუსში, სადაც იგი მუშაობს, არამედ მთელ ალიტუსის მაზრაშიც.

პურისმცხობელ რაჟაუნასკასსაც იცნობენ ალიტუსის მაზრის ამომრჩევლები. ეს კაცი ცდილობდა მოეწყო შინ რევოლუციური წიგნების პატარა ბიბლიოთეკა. პოლიციამ აღმოაჩინა „კრამოლური ბიბლიოთეკა“ და დააპატიმრა პურისმცხობელი. იგი საპყრობილიდან გაათავისუფლა სახალხო მთავრობამ. „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს შორის ვხვდებით აფთიაქარი ქალის მილანჩიუტეს, იურისტ პაკარკლისის და მწერალ პეტრას ცვირკას სახელებს. მილანჩიუტე ცნობილი საზოგადო მოღვაწეა, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს მშრომელთა შორის.

იურისტ პაკარკლისსაც, იუსტიციის ახლანდელ მინისტრს, იცნობენ გლეხები როგორც ისეთ ადამიანს, რომლისთვისაც ძვირფასია ხალხის ინტერესები.

მწერალ პ. ცვირკას სახელი არანაკლებ ცნობილია ალიტუსის მაზრაში. მისი რომანი „მასაზრდოებელი მიწა“ და სხვა ნაწარმოებნი, რომლებშიც აღწერილია გლეხთა მწარე ცხოვრება, უაღრესად პოპულარულია. აქ მას კითხულობენ, იცნობენ და სიყვარულით ეპყრობიან.

ლიტველი ხალხის გამარჯვება

კაუნასი, 17 ივლისი (საკდესი). დღეს ლიტვის გაზეთები, აღნიშნავენ რა „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ გაუგონარ წარმატებას, სწერენ, რომ ლიტველმა ხალხმა საბოლოოდ და სამუდამოდ გამოუტანა განაჩენი ძველ წყობილებას და ერთსულოვნად მისცა ხმა ახალ, ხალხურ ლიტვას.

ლიტვის დეპეშათა სააგენტოს ცნობაში, რომელიც კაუნასის გაზეთებმა გამოაქვეყნეს, ნათქვამია:

„სეიმის არჩევნების შედეგები „ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ დიდ გამარჯვებას მოასწავებს. ეს არჩევნები მოწმობენ ლიტველი ხალხის უდიდეს პოლიტიკურ აქტივობას და მის მისწრაფებას შექმნას სამართლიანი ცხოვრება. ჩატარებული არჩევნები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სმეტონას სეიმის არჩევნებისაგან, როდესაც ხალხი სრულიად გულგრილად ეკიდებოდა არჩევნებისათვის მზადებასა და მის შედეგებს. ხალხმა იცოდა, რომ ტაუტინიკის სეიმის არჩევნები მმართველი ხროვის ერთერთი საშუალება იყო, რომლის დახმარებითაც იგი იმონებდა მშრომელ მასებს. მიუხედავად იმისა, რომ 1936 წლის არჩევნების დროს ქონებრივი და სხვა ცენზების შემოღებით მშრომელებს ხმის უფლება წაართვეს, მიუხედავად იმისა, რომ წინანდელი არჩევნების დროს აშკარა ძალადობას მიმართავდნენ, არჩევნების მონაწილეთა რიცხვი განსაკუთრებით მცირე იყო.

მაგრამ, როგორც ჩვენ თვითონ დავრწმუნდით, სახალხო სეიმის არჩევნები სულ სხვა იყო. მიუხედავად პროვოკაციული მუშაობისა, რასაც ანტიხალხური ელემენტები ეწეოდნენ, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეშალათ არჩევნები, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, რაც საარჩევნო უბნებში მისვლას აძნელებდა, არჩევნების მონაწილეთა პროცენტი მეტისმეტად დიდი იყო. ხმის უფლების ყველა მქონეთა 95,51% მოვიდა საარჩევნო ყუთებთან, რათა სახალხო სეიმის ნამდვილი წარმომადგენლები აერჩია. ეს შეიძლებოდა მხოლოდ იმიტომ მომხდარიყო, რომ ლიტველმა ხალხმა იცოდა და იგი დარწმუნებული იყო, რომ ახალი სეიმი ნამდვილად ხალხური სეიმი იქნება და იგი ნამდვილად დაიცავს ხალხის ინტერესებს და გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს.

„ლიტვის მშრომელი ხალხის კავშირის“ კანდიდატებს ხმა მისცა 99,19 პროცენტმა. ამგვარად, კენჭისყრამ დაადასტურა, რომ ლიტვის მშრომელებს უნდათ ახალი ცხოვრებით იცხოვრონ. იცოდნენ ლიტველი ხალხის მტრებმა, რომ მათი ცდა თავიანთი ნება-სურვილი დაუპირისპირონ ხალხის ნება-სურვილს შეუბრალებლად იქნება აღკვეთილი, და ლიტვის მშრომელები მტკიცე ნაბიჯით წავლენ წინ თავიანთი ლამაზი მომავლისაკენ“.

გამარჯვების წელი

ვ. ფ. ტრიბუცი

ვიცე - ადმირალი, წითელდროშოვანი
ბალტიის ფლოტის სარდალი

საბჭოთა მთავრობის ბრძნული სტალინური საგარეო პოლიტიკის შედეგად წითელდროშოვანმა ბალტიის ფლოტმა გასასვლელი მიიღო ზღვის ფართო სივრცეებისაკენ. ახალი პირობები წითელდროშოვანი ბალტიკის ფლოტს საშუალებას აძლევს ნაოსნობა აწარმოოს მთელი წლის განმავლობაში, ბევრად უფრო ამაღლოს ხომალდების საბრძოლო გამოწრთობა და მზადყოფნა.

ჩვენი ფლოტი განუწყვეტლივ იზრდება. ეს არის ბოლშევიკური პარტიისა და პირადად ამხანაგ **სტალინის** დიდი დამსახურება, მთელი საბჭოთა ხალხის და მისი მოწინავე რაზმის—ლენინის ქალაქის მშრომელთა დამსახურება. სახელოვანმა გემთმშენებლებმა ბევრი რამ გააკეთეს და კიდევ მეტს გააკეთებენ ჩვენი საზღვაო ძლიერების განსამტკიცებლად.

1939 წლის ივლისში პირველად იქნა ჩატარებული სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. გაიარა ამბებით მდიდარმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენმა ფლოტმა საბრძოლო გამოცდის სკოლა განვლო. ფინელი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ წარმოებულმა საომარმა მოქმედებამ, რომელშიც წითელდროშოვანი ბალტიკა აქტიურ მონაწილეობას იღებდა, ერთხელ კიდევ დაადასტურა მეზღვაურთა მამაცობა და გულადობა, მათი უსაზღვრო ერთგულება სამშობლოსადმი, **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი.

მამაცურად მოქმედებდნენ წყალქვეშელნი დანაღმულ, კლდიანი მეჩეჩებით დაცულ რაიონებში, ყინვის პირობებში. საბჭოთა კავშირის გმირებმა ამხ. ტრიპოლსკიმ, ვერშინინმა, კონიაევმა და მრავალმა სხვამ გვიჩვენეს, თუ რა შეუძლიათ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც ტექნიკას დაუფლებიან. მებრძოლმა მეთაურებმა აღზარდეს „წყალქვეშელი სნაიპერები“ — ლავრიშჩევი, სილინი, მიშჩენკო, პეტროვი, ნაზაროვი, ლეგური და სხვები. წყალქვეშა ნავების ტორპედების მარჯვე ბათქის შედეგად მწყობრიდან გამოდიოდა მოწინააღმდეგის სამხედრო ტრანსპორტები, იფუშებოდა შესაძლებლობა მტრის ხომალდების მიმოსვლისა მათივე კომუნიკაციებით. წყალქვეშა ნავები რთულ, ძნელ პირობებში მოქმედებდნენ.

სხვადასხვა კლასის წყალზედა ხომალდები აქტიურად ეხმარებოდნენ წითელი არმიის სახმელეთო ნაწილების შეტევას, უზრუნველჰყოფდნენ ნორმალურ ნაოსნობას, იცავდნენ მშობლიური ნაპირების მისასვლელებს, წითელმა მეზღვაურებმა ელვისებური დარტყმით აიღეს ავიაციის დახმარებით მთელი რიგი კუნძულები, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ლენინის ქალაქის დასაცავად.

ბევრი რამ შეიძლება ითქვას საზღვაო ავიაციის მფრინავებზე, მის თავგამოდებულ მსროლელებზე, რადისტებზე, ტექნიკოსებზე, მექანიკოსებზე. ყინვა, ქარბუქი, სქელი ღრუბლიანობა, მტრის ცეცხლის ფოლადისებური ფარდა ვერ აჩერებდა სახელოვანი შევარდნების ფრენას. მფრინავებმა — საბჭოთა კავშირის გმირებმა—ამხ. კროხალევმა, რაკოვმა, ბორისოვმა, გუბანოვმა, ტოკარევმა, გუბრიმ, დენისოვმა, ნეფედოვმა, ვოლოსევიჩმა და სხვებმა საბჭოთა ხალხის დიდი მადლობა დაიმსახურეს.

გმირობისა და მოხერხებულობის ნიმუშები გვიჩვენეს მე-3 რანგის კაპიტანმა ემანუილ ლაზომ და მისმა მებრძოლმა ამხანაგებმა—შიშოვმა, სმირნოვმა, ბეზუკლადნიკოვმა და სხვებმა. მათი საკანონერო ნავები მარჯვედ ისროდნენ, თითქმის უშუალოდ ადგებოდნენ მოწინააღმდეგის ნაპირებს და უზრუნველჰყოფდნენ წითელი არმიის ნაწილების წინსვლას.

მეზღვაურთა სადესანტო რაზმები მტკიცედ იბრძოდნენ ფინეთის ყურის ყინულოვან ველებზე, კარელიის ყელის თოვლიან ტყეებში. მეზღვაურებს თხილამურებით უნდა ევლოთ. ეს „თოვლის კავალერია“ კაპიტან გრანინისა და კაპიტან ლოსიაკოვის მეთაურობით რეიდებს ახდენდა მტრის ზურგში, ანადგურებდა მის კომუნიკაციებს.

არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ჩვენი ფორტების—„ბალტიკის გუშაგების“ პირადი შემადგენლობაც, მძიმე არტილერიის ბატარია ამხ. კრაინევის მეთაურობით და მრავალი სხვა ნაწილი და შენაერთი, რომლებიც თავგამოდებით ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას. დიდი მუშაობა გასწიეს შტაბებმა, ზურგის დაწესებულებებმა და საწარმოებმა.

სამშობლო დიდად აფასებს წითელდროშოვანი ბალტიკის საგმირო საქმეებს. მის 23 საუკეთესო შვილს საბჭოთა კავშირის გმირების სახელწოდება მიენიჭა, 2.254 წითელფლოტელი, მეთაური და პოლიტმუშაკი დაჯილდოებულ იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. ჩვენ ღრმა მადლობის გრძნობით ვლაპარაკობთ იმ მზრუნველობასა, სიყვარულსა და ყურადღებაზე, რომელიც გამოიჩინეს ჩვენდამი ლენინის ქალაქის მშრომელებმა. ჩვენ ვგრძნობდით, მთელი ჩვენი ქვეყნის მზრუნველობას, ვგრძნობდით, რომ ყოველდღე და ყოველ საათს ჩვენთან იყო მთელი ჩვენი სამშობლო, მთელი ძლიერი საბჭოთა ხალხი.

უდიდეს ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ ფლოტის ცხოვრებასა და საჭიროებას ხალხთა ბელადი დიდი **სტალინი** და მისი უახლოესი თანამებრძოლი ამხანაგი **ჟდანოვი**. ეს აღაფრთოვანებს ბალტიელებს ახალი საგმირო საქმეებისათვის, მოუწოდებს ახალი წარმატებებისაკენ.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტი თავისი განვითარების ახალ ეტაპში შევიდა. მეთაურები, პოლიტმუშაკები, წითელფლოტელები —სხვადასხვა სპეციალობისა და თანამდებობის ადამიანები—ამჟამად გართულნი არიან ახალი რაიონების, ახალი ბაზების ათვისებით, თავიანთი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებით.

1940 წლის ზაფხულის კამპანია მიმდინარეობს რთული საბრძოლო ტექნიკის გაღრმავებული შესწავლის, გასული წლის შედეგების შემოქმედებითი განზოგადების ნიშნით. ფლოტის პირადი შემადგენლობა დაგროვილ საბრძოლო გამოცდილებას სწავლობს და ემზადება იმისათვის, რომ გადასცეს ეს გამოცდილება იმ ახალგაზრდობას, რომელიც სამხედრო-საზღვაო დროშის ქვეშ დადგება. მტკიცდება რევოლუციური დისციპლინა, საბრძოლო ოსტატობა მეზღვაურებისა, რომელნიც ყოველთვის იყვნენ და იქნებიან თავიანთი სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში.

წითელფლოტელები, მეთაურები და პოლიტმუშაკები გულმოდგინედ აუმჯობესებენ თავიანთ საბრძოლო მომზადებას, რათა ყოველ ჟამს, სამშობლოს, **ლენინ-სტალინის** პარტიის მოწოდებით, ჩაებან ბრძოლაში და გაანადგურონ მტერი მისსავე წყლებში მისსავე ტერიტორიაზე.

(საკდესი).

თეატრალური თათბირის შედეგები

რესპუბლიკური თეატრალური თათბირი, რომელიც შესდგა 16-17 ივლისს ხელოვნების ოსტატთა კლუბში, საქმიანად ჩატარდა. მომხსენებლებმა და მოკამათეებმა ფართოდ გააშუქეს ახლახან დამთავრებული სეზონის მუშაობა და დასახეს მომავალი სეზონის ამოცანები.

ბევრი ითქვა თეატრების მუშაობის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებაზე. გამოირკვა, რომ ჩვენი თეატრების უმრავლესობა მნიშვნელოვან ღონისძიებას — მუდმივი ადგილების გაუქმებას მოუმზადებელნი შეხვდნენ. მოზარდ მაყურებელთა თეატრების გარდა, რომელთაც ეს ღონისძიება არ შეხებია, თითქმის ყველა თეატრმა სეზონი გარღვევით დაამთავრა — ვერ შეასრულა ვერც სპექტაკლების დადგმისა და ვერც შემოსავლის გეგმა. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ ქუთაისის და მარჯანიშვილის თეატრები.

თათბირზე აღინიშნა, რომ საანგარიშო სეზონის მხატვრული პროდუქცია ბევრ თეატრში უფრო დაბალი მხატვრული ღირსებისა იყო, ვიდრე მათ შეეძლოთ მოეცათ.

გამოირკვა ისიც, რომ დიდ თეატრებში და ნაწილობრივ პერიფერიაშიც (ბათუმი) ბევრი შემოქმედებითი მუშაკი დაუტვირთავია. ამავე დროს რაიონულ თეატრებს აკლიათ მუშაკები. სავსებით ნათელი გახდა თეატრალური კადრების გადანაწილების აუცილებლობა. გაკვირვება გამოიწვია ფოთის თეატრის წარმომადგენლის თ. ლორთქიფანიძის გამოსვლამ, რომელმაც ამ გადანაწილების წინააღმდეგ გაილაშქრა, თუმცა თავისი აზრი ვერ დაასაბუთა. ორატორები სამართლიანად სვამდნენ რაიონული თეატრების ზოგიერთი ხელმძღვანელისა და მსახიობის დაბალი კვალიფიკაციის საკითხს და მოითხოვდნენ ზომების მიღებას ამ ხარვეზის შესავსებად. თათბირმა სავსებით მოიწონა თეატრალური ინსტიტუტის ღონისძიებანი ახალი კადრების აღზრდისა და არსებული კადრების გადამზადებისათვის.

თათბირზე სათანადო ადგილი დაეთმო შემოქმედებით საკითხებს, მომავალ რეპერტუარს, თუმცა ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელი ამის გაურბოდა და თავის გამოსვლას სხვა სამეურნეო-საორგანიზაციო საკითხებით განსაზღვრავდა. გაიმართა პრინციპული კამათი ჩვენი თეატრების მომავალი რეპერტუარის ხარისხის შესახებ. თათბირის მონაწილეებმა ამხ. ა. ვასაძემ, გრ. ნუცუბიძემ, მურღულიამ და სხვებმა სამართლიანად გაილაშქრეს ეპიგონური მელოდრამის წინააღმდეგ და დაჰგმეს ზოგიერთი თეატრის ცდა გახადოს იგი მომავალი სეზონის წამყვან ჟანრად, („მარგარიტა გოტიე“, „ედმუნდ კინი“ და სხვ.). უარყოფითი შეფასება მიეცა აგრეთვე ისეთ სუსტ პიესებს, როგორიცაა „ანრი სეარი“, „ჩვენი მიწა“, და სხვ.

კამათის ცენტრში იყო ქართული საბჭოთა დრამატურგიის საკითხები. დრამატურგებს, სამართლიანად უსაყვედურეს, რომ განვლილ სეზონში არ დაუწერიათ პიესა ჩვენს თანამედროვე ცხოვრებაზე, ხოლო ორიგინალური, თანამედროვე დრამატურგიის გარეშე ჩვენი თეატრის წინსვლა წარმოუდგენელია.

თეატრალურ კრიტიკას სამართლიანად უსაყვედურეს ლმობიერება სპექტაკლებისა და პიესების შეფასებაში, აღნიშნეს, რომ ჩვენ თეატრებს შეღავათები არ სჭირდებათ, რომ აქტუალური თემატიკა ვერ იხსნის პიესას, თუ იგი მხატვრულად სუსტია. მთელ თათბირზე ორი ორატორი აღმოჩნდა, რომლებიც ამ აზრს არ იზიარებდნენ: ამხ. შ. ბუაჩიძე და ფოთის თეატრის რეჟისორი თ. ლორთქიფანიძე, რომელთა გამოსვლამ გაკვირვება გამოიწვია.

წლევანდელი თეატრალური თათბირი დიდად განირჩეოდა წინა წლების ასეთივე თათბირებისაგან. ამ თათბირზე მიუდგომლად იქნა შეფასებული განვლილი სეზონის მუშაობა და, რაც მთავარია, მომავალი სეზონისათვის თეატრებს მიეცა სწორი გეზი. თათბირმა მიუთითა თეატრებს, რათა მომავალ სეზონში მათ სცენიდან გვიჩვენონ მაღალმხატვრული სპექტაკლები თანამედროვე თემებზე, ჩვენი პარტიისა და ხალხის გმირული ბრძოლის თემებზე. მაშინ თეატრს მაყურებელი არ მოაკლდება.

რაიონის ხელმძღვანელობას მოწყვეტილი კოლმეურნეობა

(გორი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

გორის რაიონის სოფ. შინდისის კოლმეურნეობაში ხშირია დაუდევრობისა და უყურადღებობის შემთხვევები. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. კვალიაშვილი უხეშად არღვევს სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდებას, ანგარიშს არ უწევს კოლმეურნეთა აზრს და ჩადის აშკარა ბოროტმოქმედებას.

ქ. კვალიაშვილმა გასულ წელს, როცა იგი სოფ. ყელქცეულის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ მუშაობდა, სამხრეთის რკინიგზების ბუფეტების ხარკოვის სახაზო კანტორის დამამზადებელს ბ. ბოგდანოვიჩს მიჰყიდა კოლმეურნეობის 7.200 კილოგრამი ვაშლი, კილოგრამი 2 მან. 50 კაპიკად, კოლმეურნეობაში კი ყალბი ანგარიში წარადგინა თითქოს იგი 2 მანეთად გაეყიდოს. ამრიგად, ამ კომბინაციის საშუალებით მან 3.600 მანეთი ჩაიჯიბა. ქ. კვალიაშვილი შინდისში გადასვლის შემდეგ დაუკავშირდა სოფ. ყელქცეულის კოლმეურნეობის ახალ თავმჯდომარეს გ. მეტრეველს და ასეთივე კომბინაციით კვლავ მიითვისა 5.600 მანეთი. ამ საქმის გამორკვევა კარგახანია დამთავრდა, მაგრამ ეს კომბინატორები პასუხისგებაში რატომღაც დღემდე არ მიუციათ.

ქ. კვალიაშვილი სოფ. შინდისის კოლმეურნეობაშიაც განაგრძობს თავის „მოღვაწეობას“ აი რამდენიმე მაგალითი: გასული წლის დეკემბრიდან მიმდინარე წლის მაისამდე ქ. კვალიაშვილმა სამომხმარებლო კოოპერაციას და „ტყავნედლეულის“ გორის განყოფილებას ჩააბარა კოლმეურნეობის 16 ცალი ტყავი. ამ ტყავების ღირებულება 399 მანეთი და დასაქონლების სახით მიღებული 483 დეციმეტრი შევრეტი მიითვისა. ეს ფაქტი იცოდა შინდისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. კოლატაშვილმა, მაგრამ არა თუ არ მიიღო რაიმე ზომა დამნაშავის წინააღმდეგ, პირიქით, ასეთივე კომბინაციით თვითონაც „მოითბო“ ხელი.

მიმდინარე წლის აპრილში კოლმეურნე გ. პატარიძეს პირად საქმეზე უნებართვოდ წაყვანილი კოლმეურნეობის კამეჩი მოუკვდა. კამეჩის დაუდევრობით მოკვლისათვის კოლმეურნეობამ პატარიძის წინააღმდეგ საჩივარი აღძრა სასამართლოში. ამავე დროს კოლმეურნეობაში შეადგინეს აქტი, თითქოს კამეჩი ავადმყოფობით მოკვდა, რის საშუალებით სახდაზღვევიდან 990 მანეთი მიიღეს. ეს სიყალბე ჩადენილ იქნა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქ. კვალიაშვილის მონაწილეობით.

სოფ. შინდისში კოლმეურნეთა საერთო კრებას იშვიათად იწვევენ. საერთო კრებას წელს არ განუხილავს და არ დაუმტკიცებია ისეთი საწესდებო საკითხები, როგორიცაა საკონტრაქტაციო ხელშეკრულება, მტს-თან დადებული ხელშეკრულება, წლიური საწარმოო გეგმა, შემოსავალ - გასავლის ხარჯთაღრიცხვა, გამომუშავების ნორმები და სხვ. კურიოზია, მაგრამ ფაქტია, რომ შინდისის კოლმეურნეობას ახლაც არა აქვს წლიური საწარმოო გეგმა და შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვა. ჯერ ერთი, გეგმა და ხარჯთაღრიცხვა აქ კოლმეურნეთა მონაწილეობის გარეშე შეადგინეს და შემდეგ ისიც დაკარგეს. ამის გამო ახლა შეუძლებელია გაგება, თუ რამდენად სწორად იხარჯება კოლმეურნეობის სახსრები ან როგორ სრულდება წლიური საწარმოო დავალებები.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კოლმეურნეებთან ანგარიშსწორება. 26 კოლმეურნეს ახლაც არა აქვს მიღებული გასულ წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილი ფული, ზოგს მიუღებელი აქვს პროდუქტებიც, მაშინ როცა 20 კოლმეურნეს გატანილი აქვს იმაზე მეტი, ვიდრე ნამდვილად ერგებოდა.

სოფ. შინდისის კოლმეურნეობაში დაცემულია შრომის დისციპლინა. ამის შედეგია ის, რომ პირველ ბრიგადაში 78 მუშა-ხელიდან წელს 6 თვის განმავლობაში 41 კოლმეურნეს 5-დან 15 შრომადღეზე მეტი არ გამოუმუშავებია. მეორე ბრიგადაში 68 კოლმეურნიდან 1-დან 30-მდე შრომადღეზე მეტი არ გამოუმუშავებია 46 კოლმეურნეს. მესამე ბრიგადაში—23 კოლმეურნეს გამომუშავებული აქვს 10-მდე შრომადღე, მეშვიდე ბრიგადაში—61 კაციდან 50 შრომადღეზე მეტი მხოლოდ 8 კაცს აქვს გამომუშავებული. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქ. კვალიაშვილი კი კოლმეურნეთა შორის მასობრივი ახსნა-განმარტებითი და აღმზრდელობითი მუშაობის გაშლის ნაცვლად უხეში ადმინისტრირების მეთოდებს მიმართავს (ყვირილი, ჩხუბი, ლანძღვა, ხელის კვრა და სხვ.). დაუშვებელ უმოქმედობას იჩენს ამ მხრივ კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. დ. მინდიაშვილიც.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების თანახმად, სარევიზიო კომისია 3 თვეში ერთხელ მაინც უნდა აკეთებდეს კოლმეურნეობის რევიზიას. ფაქტიურად კი აქ სარევიზიო კომისიას, რომლის თავმჯდომარედ უკანასკნელ დრომდე გ. სამნიაშვილი ითვლებოდა, გასული წლიდან მოკიდებული დღემდე ერთხელაც არ შეუმოწმებია კოლმეურნეობის საქმიანობა.

გორის პარტრაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, მიწგანის და მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები, თითქმის დღე არ გაივლის, რომ ამ კოლმეურნეობაში არ მივიდნენ. მიდიან, მაგრამ, რაც მთავარია, არსებითად არ ეცნობიან კოლმეურნეობის საქმიანობას. კოლმეურნეობის მარტო კანცელარიაში მისვლა კი საქმეს არ შველის.

ტ. აცანელი

მოძრავი ხმამაღლა მოლაპარაკე დანადგარი

ელექტრომრეწველობის სახალხო კომისარიატის მოსკოვის რადიოქარხანა № 2 იწყებს პირველ ხმამაღლა მოლაპარაკე დანადგართა სერიულ გამოშვებას. ეს დანადგარები განკუთვნილია სიტყვიერ და საკონცერტო გადაცემათა გასაძლიერებლად, გრამჩანაწერების ხელახლად წარმოსაქმნელად.

დანადგარის სიმძლავრე 25 ვატს უდრის. ეს საკმარისია 3.500 კაცამდე აუდიტორიისათვის მომსახურების გასაწევად. დანადგარი მეტად კომპაქტურია, იგი მთლიანად თავსდება ადვილად გადასატან სამ ჩემოდანში.

წელს რადიოქარხანამ უნდა გამოუშვას 270 ახალი ხმამაღლა მოლაპარაკე დანადგარი. პირველი საცდელი ეგზემპლარების შემოწმებამ გვიჩვენა, რომ თავიანთი ხარისხით ისინი საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს არ ჩამოუვარდებიან. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

გულმოდგინედ ვიმუშაოთ ერთეულ კომუნისტებთან

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიონში 52 ერთეული კომუნისტია. უკანასკნელ დრომდე მათთან მუშაობას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, რის გამო ისინი თითქმის ჩამოშორებული იყვნენ პარტიულ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მუშაობას.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად პარტიის რაიკომის ბიურომ ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში დასახა სათანადო ღონისძიებანი. რაიკომის ბიუროს დადგენილებით პარტიისა და ხელისუფლების გადაწყვეტილებებისა და ცალკეული საკითხების გაცნობისათვის რაიკომს უნდა მოეწვია ერთეულ კომუნისტთა თათბირები, მიეცა მათთვის პარტიული დავალებანი, ჩაეტარებინა საუბრები პარტიის წესდებისა და პროგრამის შესახებ, დახმარებოდა პარტიული დოკუმენტების გაფორმებაში და სხვ.

ერთეულ კომუნისტებთან მუშაობის დარგში რაიკომს ახლა ერთგვარი მიღწევები მოეპოვება. პარტიის წევრობის კანდიდატობიდან წევრად გადაყვანილია 6 ამხანაგი. მიმდინარე წელს 3-ჯერ ჩატარდა ერთეულ კომუნისტთა თათბირი, რამდენიმე კომუნისტს მიეცა მუდმივი პარტიული დავალება, რაიკომის ინიციატივით მოწყობილ თეორიულ ლექციებსა და კონსულტაციებზე დასასწრებად ხშირად იწვევენ ერთეულ კომუნისტებს. მაგრამ ეს მუშაობა მხოლოდ დასაწყისია. რაიკომს ამ საქმეში ჯერ კიდევ მრავალი ნაკლი აქვს, რაც დაჩქარებით უნდა აღმოიფხვრას.

ამ მხრივ რაიკომის მუშაობაში მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ყველა ერთეული კომუნისტი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული პარტიულსა და საზოგადოებრივ მუშაობაში. ისინი მჭიდროდ არ არიან დაკავშირებული რაიკომთან. კომუნისტების აღზრდისა და მათი რაიკომთან დაახლოების ერთერთი ფორმაა პარტიული დავალებების მიცემა და მათი შესრულება, მაგრამ 52 კომუნისტიდან პარტიული დავალება ნახევარსაც არა აქვს. იმის გამო, რომ ერთეული კომუნისტები სუსტად არიან დაკავშირებული რაიკომთან და ვერ გრძნობენ ხელმძღვანელობას, დაუდევრობას იჩენენ, არღვევენ პარტიულ დისციპლინას. მღოცველიშვილსა და ქვათაძეს 4-5 თვის პარტიის საწევრო გადასახადი არ ჰქონდათ გადახდილი. ალ. ქუმსიაშვილი და ვ. ვასილცევი, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა, პარტიული დავალების მისაღებად რაიკომის მდივანთან არ ცხადდებიან.

რაიკომის ინსტრუქტორები ახლოს უნდა იდგნენ ერთეულ კომუნისტებთან, ხშირად ესაუბრებოდნენ მათ, აძლევდნენ პარტიულ დავალებებს, კონტროლს უწევდნენ თუ როგორ სწავლობენ და მუშაობენ ისინი. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ პარტიის მოლოტოვის რაიკომის ინსტრუქტორები ერთეულ კომუნისტებს ნაკლებ დახმარებას უწევენ.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კომუნისტი ჩავაბათ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში. ერთეული კომუნისტების პარტიულობა მხოლოდ საწევრო ანარიცხების გადახდაში არ უნდა გამოიხატებოდეს.

რ. ფალავანდიშვილი

თვითდინების წინააღმდეგ პარტიულ პროპაგანდაში

(კასპი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

კასპის რაიონის პარტიული და საბჭოთა კადრები გულმოდგინედ სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“. რაიონში მტკიცედ დამკვიდრდა პროპაგანდის სალექციო სისტემა.

მაგრამ საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება სერიოზულად არ ეკიდება ადგილებზე ლექციების ჩატარების საქმეს.

პროპაგანდისტმა ამხ. გ. მჭედლიძემ აპრილში საერთაშორისო თემაზე წაიკითხა 2 ლექცია, რომლებიც რაიკომის ლექტორთა ჯგუფს არ განუხილავს, ჯგუფს არ განუხილავს აგრეთვე მაისში ჩატარებული 8 ლექცია.

ლექციები ხშირად არაორგანიზებულად ტარდება. მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში წითელ ქალაქში ამხ. სივსივაძის ლექცია „ანტანტის სამი ლაშქრობა“ ნახევარი საათით გვიან დაიწყო. ლექციაზე ესწრებოდნენ ბავშვებიც. დაგვიანებით დაიწყო აგრეთვე ამხ. შ. დაბრუნდაშვილის ლექცია სოფელ თელათგორში. მიუხედავად იმისა, რომ აპრილსა და მაისში ჩატარებულ ლექციებს ბევრი ნაკლოვანება ჰქონდა, საქ. კ. პ. (ბ) კასპის რაიკომის ბიურომ დროზე არ მიაქცია ამ ნაკლოვანებებს ყურადღება, არ გაუხდია ის მსჯელობის საგნად.

სუსტად მუშაობს რაიკომის პარტკაბინეტიც. პარტკაბინეტის მუშაკები დაკავშირებული არ არიან პირველადს პარტორგანიზაციებთან. არ ეწყობა გამსვლელი კონსულტაციები და ამხანაგური საუბრები, ამიტომ იშვიათია, რომ პარტკაბინეტში კონსულტაციის მისაღებად ვინმე მივიდეს.

რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (გამგე ა. კვიმსაძე) დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს მარტო ლექციების მოწყობით ეხმარება. უგულებელყოფილია ამხანაგებზე დახმარების ისეთი საუკეთესო ფორმები, როგორიცაა თეორიული საუბრები და თათბირები; წელს თეორიული საუბრები არც ერთ პირველადს პარტორგანიზაციაში არ ჩატარებულა.

ს. ყურაშვილი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით საქ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან.

1) მაქსიმ მაკარის-ძე **ატამანენკო** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1932 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0704838 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული. 2) მისაკ კარაპეტის-ძე **პანოსიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0924240 — სპეკულაციისა და ყალბი ანგარიშების წარდგენისათვის. 3) ჯემალ სულეიმანი-ძე **ბლადაძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2160657 — არაკომუნისტური მოქცევისათვის. 4) ტარასი ნიკოს-ძე **შეკლაშვილი**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1940 წლიდან, პარტბილეთი № 3302227—მოტყუების გზით 156 კილოგრამი ფქვილის მითვისებისათვის. 5) ვაზგენ მარტიროსის-ძე **მინასიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1936 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0923585 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული გაფლანგვისათვის. 6) ტარასი ყარამანის-ძე **ხვადაგიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2165627 — გაფლანგვისათვის.

გულისხმიერად მოვეპყრათ პარტიაში მიღებასა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდას

(ლანჩხუთი, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ლანჩხუთის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან პირველ ივნისამდე საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებად მიიღო 46 კაცი, ხოლო წევრებად 118, აქედან კოლმეურნე — 59, ინჟინერი — 11, ტრაქტორისტი 3. მიღებულთა შორის არიან აგრეთვე ექიმები, დაწყებითი სკოლის მასწავლებლები, აგრონომები და სხვ.

პარტიაში ახალ მიღებულთა შორის არიან ქეთა კილაძე, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ოლღა გურიელიძე—შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებული, ლანჩხუთის საშუალო სკოლის დირექტორი, სტახანოველი ტრაქტორისტები გ. სანაძე, ვ. ზაქრაძე, ივ. ჩხაიძე და სხვ.

საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდასთან ერთად გაიზარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების რიცხვი, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ ჩამოყალიბდა 13 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

რაიონის ბევრი პარტიული ორგანიზაცია სერიოზულად ეკიდება პარტიაში ახალ წევრთა მიღებისა და ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეს.

ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ვ. ჩხაიძე) სერიოზულ მუშაობას ეწევა პარტიაში ახლად მიღებულთა ბოლშევიკურად აღზრდისათვის. ახალგაზრდა კომუნისტებს აქვთ პარტიული დავალება, პარტბიურო მიცემული დავალების შესრულებას სისტემატურად ამოწმებს, ყოველდღიურ კონტროლს უწევს თვითეული ახალგაზრდა კომუნისტის მუშაობას, კონკრეტულად ეხმარება მათ დავალებათა შესრულებაში. ახალგაზრდა კომუნისტებთან სისტემატურად ტარდება თათბირები საწარმოო საკითხებზე. ამ თათბირებზე ხდება სტახანოველი მუშის, საამქროს ოსტატის გამოცდილების განზოგადება. თვითეულ მათგანს კონტროლს უწევს თვით პარტბიუროს მდივანი ამხ. ჩხაიძე და ეხმარება მათ იდეურ პოლიტიკური დონის ამაღლებაში, რის შედეგად ახლად მიღებულები გეგმის შესრულების საქმეში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. ახალგაზრდა კომუნისტი ეფ. იმნაძე ყოველდღიურ დავალებას 200—350 პროცენტით ასრულებს, იგი კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ წარჩინების ნიშნითაა დაჯილდოებული. ახალგაზრდა კომუნისტები ფართოდ ჩაებენ პარტიულ მუშაობაში, მიცემული დავალების შესრულების საქმეში მათ გამოიჩინეს თავდადება და ერთგულება, დაწინაურდნენ საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ასე მაგალითად, ახალგაზრდა კომუნისტ ჟ. რუსიას პარტბიურომ აგიტატორობა დაავალა. აგიტატორის მოვალეობას ის პირნათლად ასრულებს, თითქმის ყოველდღე ეწევა აგიტაციას მუშათა საცხოვრებლებში. მისი საუბარი გასაგებია და მიმზიდველი. ამხ. რუსია კარგად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. მან შეისწავლა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ სახელმძღვანელოს 9 თავი. იგი პარტიაში მიღების დროს ამომრჩეველად მუშაობდა, ახლა კი ფაბკომის თავმჯდომარედაა დაწინაურებული. პარტიაში მიღების დროს ე. გალოგრე უბრალო მუშა იყო, ახლა იგი უმცროსი ტექნოლოგია.

ფაბრიკის ბევრ ახალგაზრდა კომუნისტს აქვს ახლის გრძნობა. მათ რიცხვს ეკუთვნის ახალგაზრდა კომუნისტი კ. ჯიბლაძე. მან წამოაყენა მესამე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთლის დამფქვავი მანქანის გაუმჯობესების საკითხი. ახალგაზრდა კომუნისტის წინადადებას პარტბიურო გულისხმიერად გამოეხმაურა. ჯიბლაძის ინიციატივამ შედეგი გამოიღო: თუ ძველი მანქანა 8 საათის განმავლობაში 100 კილოგრამ მესამე ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლს ფქვავდა, ჯიბლაძის მიერ იგივე მანქანა გადაკეთებული 2000 კილოგრამს ფქვავს და პროდუქცია კარგი ხარისხისაა.

მაგრამ ყველგან კარგად როდია დაყენებული ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმე, სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციაში (მდივანი—გ. პატარაია) იმ ახალგაზრდა კომუნისტებთან, რომლებიც გასულ წელს მიიღეს, ძლიერ სუსტად აწარმოებენ აღმზრდელობით მუშაობას. 8 პარტკანდიდატიდან დავალება მხოლოდ 3 ამხანაგს აქვს, მაგრამ მიცემული დავალების შესრულების შემოწმება იშვიათად სწარმოებს. არ ჩატარებულა ახალგაზრდა კომუნისტების თათბირი, სწორედ ამის მიზეზია ის, რომ 3 ამხანაგს გასულ წელს გაუთავდათ საკანდიდატო სტაჟი, მაგრამ წევრებად მათ მიღებაზე არავინ ზრუნავს.

გულიანის ზოზ დიასის სახ. კოლმეურნეობა თავის წევრთა რაოდენობით რაიონში ერთერთ დიდ კოლმეურნეობად ითვლება, მაგრამ აქ პარტორგანიზაცია მოუქნელად მუშაობს პარტიაში ახალ წევრთა მიღებისათვის. საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ პარტორგანიზაციას პარტკანდიდატად არც ერთი კაცი არ მიუღია. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ლომაძე ამ მდგომარეობას იმით ხსნის, რომ ახლახან აირჩიეს მდივნად. ნამდვილად კი ის მდივნად თებერვლიდან მუშაობს. 1938 წელს მიღებული პარტკანდიდატები ჯერაც არ მიუღიათ წევრებად. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რაიონული კომიტეტის მუშაკები სუსტად ეხმარებიან ამ პარტიულ ორგანიზაციას. მდივნად აქ სტახანოველი კოლმეურნე ქალია. იგი ამ სამუშაოზე გამოუცდელია, ამიტომ მეტი დახმარება ესაჭიროება.

არის იმის მაგალითები, რომ ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ახალ წევრთა მიღების დროს არ იცავს პარტიული წესდების მოთხოვნებს. მაგალითად, ნიგოითის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ კანდიდატად მიიღო სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ო. თოდრია, რეკომენდატორები ნ. ჭანიშვილი და ნ. კაცაძე კი მას ახასიათებდნენ როგორც კარგ მუშაკს და პასუხისგებაში არყოფილს. ნიგვზიანის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ პარტიაში მიიღო გ. ყოჯიკაშვილი, რომელსაც რეკომენდატორები ი. ჯორბენაძე, ნ. ხუხუნაშვილი მას ერთი წლის ერთად მუშაობით არ იცნობდნენ. აგამაკის პარტორგანიზაციამ წევრად გადარიცხა ს. კვეტაიშვილი, რომელსაც რაიკომის ბიუროს მიერ საყვედური ჰქონდა გამოცხადებული საგაზაფხულო სამუშაოების ჩაშლისათვის.

ლანჩხუთის რაიონის პარტორგანიზაციათა ამოცანაა ბოლშევიკურად იმუშაონ საკ. კ. პ. (ბ) რიგების ზრდისათვის, პარტიაში მიიღონ ყოველმხრივ შემოწმებული ადამიანები ბოლშევიკურად გაშალონ მუშაობა მიღებულთა აღზრდისათვის, ფართოდ ჩააბან ისინი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში — რაიკომს სერიოზული მუშაობა მართებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ვ. მექვაბიშვილი

თბილისის № 1 ტყავის ქარხნის პარტბიუროს მდივანი კ. მეძმარიაშვილი (მარცხნივ) ესაუბრება ჯგუფორგებს ნ. მიცკევიჩს, ა. შპეტიშვილს და აგიტატორ ი. ჩარგეიშვილს საამქროებში ჯგუფორგების მომავალი მუშაობის შესახებ.

ბიბლიოგრაფია

როგორ არ უნდა ითარგმნოს სახელმძღვანელო

(პროფ. ლ. ი. **ბლიახერი** — „ზოგადი ბიოლოგიის კურსი სამედიცინო ინსტიტუტებისათვის“, საქმედგამი, თბილისი, 1939 წ. რედაქტორი **ივ. ჩხიკვიშვილი**, მთარგმნელი **შ. ცაგარელი**).

ქართულ ენაზე დღემდე არცერთი სახელმძღვანელო არ გვქონდა ზოგად ბიოლოგიაში. პროფ. ლ. ი. ბლიახერის წიგნის „ზოგადი ბიოლოგიის კურსის“ ქართულ ენაზე გამოცემა უდიდეს დახმარებას გაუწევს თბილისის სამედიცინო და სტომატოლოგიური ინსტიტუტების სტუდენტობას. ამ წიგნით სარგებლობს აგრეთვე საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობა.

წიგნი ნათარგმნია შ. მ. ცაგარლის მიერ, დოც. ივ. ჩხიკვიშვილის რედაქტორობით. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ თარგმანი არ არის დამაკმაყოფილებელი. ზოგ შემთხვევაში წინადადებები გაუგებარია, ზოგან კი მეთოდოლოგიური შეცდომებია დაშვებული, რისთვისაც ყურადღება უნდა მიექცია როგორც მთარგმნელს, ისე მით უმეტეს რედაქტორს.

ქართული გამოცემის 344 გვერდზე გამოტოვებულია ორი წინადადება, რაც აზრს ამახინჯებს. აქ სწერია: „თვითეულ ასეთ შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ახლად წარმოშობილი ცვლილებების ბუნება და ეს იმიტომ, რომ ვიცოდეთ თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ცვლილება, თუ ის საზიანოა“. საზიანო ცვლილებების გამოყენებაში არავითარი აზრი არ არის. უნდა იყოს: „თვითეულ ასეთ შემთხვევაში საჭიროა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორია ახლად წარმოშობილი ცვლილებების ბუნება და ეს იმიტომ, რომ ვიცოდეთ თუ როგორ გამოვიყენოთ ეს ცვლილება, თუ ის სასარგებლოა, და როგორ ვებრძოლოთ მას, თუ ის საზიანოა“.

454 გვერდზე დაშვებულია უდიდესი მეთოდოლოგიური ხასიათის შეცდომა, იქ სწერია: „ადამიანთა საზოგადოების განვითარება ემორჩილება თავის საკუთარ, სპეციფიკურ ბიოლოგიურ კანონზომიერებებს, რომელთა დაყვანა ბიოლოგიურ კანონებამდე შეუძლებელია“.

ამ წინადადებაში პირველი ნაწილი მეორეს ეწინააღმდეგება. აქ გაიგივებულია ბიოლოგიური და ადამიანთა საზოგადოების კანონები.

ადამიანთა საზოგადოების განვითარება არასოდეს არ ემორჩილება სპეციფიკურ **ბიოლოგიურ** კანონზომიერებებს. ამ წინადადებაში სიტყვა „ბიოლოგიური“ სრულიად ზედმეტია და არ არის რუსულ გამოცემაში.

წიგნში დამახინჯებულია ავტოგენეზის არსი, ერთი სიტყვის ჩამატება გაუგებარს ხდის წინადადების შინაარსს. ასე, მაგ. 533 გვ-ზე სწერია: „სასიცოცხლო მოვლენათა შეფასებისას ბიოლოგები ჩვეულებრივად ვარდებოდნენ ორგვარ უკიდურესობაში: 1) არ ღებულობდნენ გარემოსაგან ორგანიზმის აბსოლუტურ ავტონომიურობას, ორგანიზმი მიაჩნდათ თავისთავად დამთავრებულ—თვისაკმარ სისტემად, რომელსაც მართავდა მხოლოდ ორგანიზებული მატერიის დამახასიათებელი ძალები. ეს არის ვიტალისტური თვალსაზრისი“.

ამ რთულ წინადადებაში სრული წინააღმდეგობაა: ერთის მხრით—ორგანიზმი დამოკიდებულია გარემოსაგან და მეორეს მხრით ის წარმოადგენს თავისთავად დამთავრებული—თვისაკმარ სისტემას, რომელსაც მართავს მხოლოდ ორგანიზებული მატერიის დამახასიათებელი ძალები.

უნდა იყოს: „სასიცოცხლო მოვლენათა შეფასებისას ბიოლოგები ჩვეულებრივად ვარდებოდნენ ორგვარ უკიდურესობაში: 1) ან ღებულობდნენ გარემოსაგან ორგანიზმის აბსოლუტურ ავტონომიურობას“ და ა. შ.

სახელმძღვანელოს 532 გვერდზე სწერია: „მიზეზის, როგორც მოძრავი საგნის, მიმართ რაღაც გარეშეს ასეთი გაგება დასაწყისს ღებულობს მექანიკის ისეთ წარმომდგენისაგან, სადაც სხეულის გადაადგილება შეიძლება განპირობებულ იქნას გარედან მიყენებული ძალით“.

უნდა იყოს: „მიზეზის ასეთი გაგება, როგორც მოძრავი საგნის მიმართ რაღაც გარეშე ძალისა, საწყისს ღებულობს მექანიკის ისეთი წარმოდგენისაგან, სადაც“... და ა. შ.

ზოგ წინადადებებში სიტყვებია გამოტოვებული, ზოგან კი ერთი სიტყვის ნაცვლად მეორეა ნახმარი. მაგ. 40 გვერდზე, სადაც ლაპარაკია უჯრედის მიტოზურ გაყოფაზე—სიტყვა „გაყოფის“ ნაცვლად ნახმარია—„გამოყოფა“ (სწერია: „უჯრედის მზადყოფნა გამოყოფისათვის“, უნდა იყოს: **უჯრედის მზადყოფნა გაყოფისათვის.**

კიდევ შეიძლებოდა უამრავი მაგალითების მოყვანა, რომელნიც დაადასტურებდნენ იმას, რომ მთარგმნელიც და რედაქტორიც არასერიოზულად მოეკიდნენ სახელმძღვანელოს თარგმნას. ამის შედეგად მივიღეთ შეცდომებით სავსე სახელმძღვანელო, რომლის გამოსწორებაზე უნდა იზრუნოს საქართველოს მედგამომცემლობამ.

ბ. ყურაშვილი.

შესანიშნავი გამოგონება

ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მექანიზაციის საკითხის გადაჭრა ამჟამად ერთერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ჩაის პლანტაციების რელიეფის მრავალსახეობა, კლიმატური ცვალებადობით, ბუჩქის ფესვთა სისტემის და განშტოების სხვადასხვაობით გამოწვეული ყლორტების არათანაბარი ზრდა, კრეფის პერიოდში ნორმალურად განვითარებულ ორ და სამფოთლიან ყლორტებთან ერთად ბუჩქებზედ ყრუ-ნაზი და ყრუ-უხეში ყლორტების არსებობა, მოკრეფილი ფოთლის დახარისხების საჭიროება, თვითეული მოსაკრეფი ყლორტისადმი მკრეფავის მიერ ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობა და სხვა, აი ის განსაკუთრებული თავისებურებანი, რომლებიც ჩაის კრეფას ახასიათებს და აძნელებს სამუშაოს ამ ძირითადი პროცესის მექანიზაციას.

დღემდე გამოგონილი თითქმის ყველა ჩაის საკრეფი მანქანის მუშაობა ძირითადად ეყრდნობა არა თვითეული ფოთლის ინდივიდუალური მოწყვეტის, არამედ ბუჩქის ზედაპირზე ყველა მოსული ფოთლის ჰორიზონტალურად მოჭრის პრინციპს. მაკრატლის სისტემაზე აგებული მანქანის საკრეფი მოწყობილობა, გარდა იმისა, რომ იგი არ იძლევა ფოთლის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით მოკრეფის საშუალებას, შეუძლებელს ხდის დავტოვოთ ბუჩქზე მოუსვლელი, ზრდადაუმთავრებელი ფოთოლი. ეს კი იწვევს მწვანე ფოთლის ხარისხის გაუარესებას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ჩაის მზა პროდუქციის ხარისხზე, ხოლო მეორეს მხრივ ამცირებს პლანტაციის მოსავლიანობას.

ითვალისწინებდნენ რა ამ მდგომარეობას, საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოც. ე. თოფურიძემ და ინჟინერმა მ. კაჯარმა გამოიგონეს ჩაის ისეთი საკრეფი მანქანა, რომელიც სავსებით განსხვავდება დღემდე გამოგონილი მანქანებისაგან და აკმაყოფილებს ჩაის პლანტაციების ზემოაღნიშნული თავისებურობით გამოწვეულ მოთხოვნებს. ახალი მანქანა თვლებზე იდგმება, საკრეფი მოწყობილობა მოთავსებულია მანქანის ფრთებში, რომლებიც ერთდროულად ორ მწკრივს სწვდება. მანქანა, იმის მიხედვით თუ მუშაობის დაწყების წინ რა სიმაღლის ფოთლის (ორფოთლიანი, სამფოთლიანი და სხვ.) მოსაკრეფად მოაწყობ, ზახმატური წესით ჰკრეფს ბუჩქზე ფოთოლს და მას კონვეიერის საშუალებით გადააქვს იგი ბუნკერში. მომჭერი სალტეები, რომელთა საშუალებითაც ხდება კრეფა, სავსებით სწმენდენ ბუჩქს თანაბარი სიმაღლისა და სინაზის ფოთლებისაგან, მიუხედავად იმისა, თუ სად იქნება ეს ფოთოლი აღმოცენებული.

ე. თოფურიძის და მ. კაჯარის მიერ გამოგონილი მანქანის საკრეფი მოწყობილობა მუშაობის პროცესშივე ავტომატურად მაღლდება და დაბლდება ცალკეული ბუჩქის მდგომარეობისა და ნაკვეთის რელიეფის მიხედვით. მანქანას შეუძლია შეუფერხებლად გადაიდეს პლანტაციებში მოწყობილ სადრენაჟო და წყალგამყვან კვლებზე, იმოძრაოს როგორც ტრაქტორით, ისე ცოცხალი გამწევი ძალით და მოჰკრიფოს დღეში სულ მცირე 10.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

გამოგონება ამასწინათ განიხილა საქართველოს ლ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ პროფ. ნ. კეცხოველის, დოცენტების — მ. თედორაძის, ი. ხოხლოვისა და ვ. მანველიძის მონაწილეობით. კომისიამ დაადასტურა, რომ ჩაის ეს ახალი საკრეფი მანქანა არის ორიგინალური, მეტად საყურადღებო და მისი კონსტრუქციის იდეა პირველია როგორც სსრ კავშირის, ისე საზღვარგარეთის პრაქტიკაში. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა დააყენა საკითხი საქართველოს მიწსახკომის წინაშე დაჩქარებით იქნას დამზადებული ამ ახალი მანქანის პირველი ეკზემპლარი, რომ შესაძლებელი გახდეს ჩაის კრეფის მიმდინარე სეზონში მისი გამოცდა.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს ამ შესანიშნავი გამოგონების ავტორებს, როგორც მიწსახკომის, ისე „საქჩაის“, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტისა და ანასეულის ჩაის მრეწველობის და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. დოცენტ ე. თოფურიძეს და ინჟ. მ. კაჯარს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათ საშუალება მიეცეთ, რაც შეიძლება მოკლე დროში დაამზადონ და გამოსცადონ ჩაის ფოთლის ახალი საკრეფი მანქანა და გადასცენ იგი წარმოებას.

თ. ჩხაიძე

ვ. სნეგოვი

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე

ფიზკულტურის დღესასწაული

საბჭოთა კალენდარში გასული წლიდან შეტანილია ახალი სადღესასწაულო თარიღი—ფიზკულტურის სრულიად-საკავშირო დღე. ამ დღესასწაულის დაწესებით პარტიამ და მთავრობამ ერთხელ კიდევ გაუსვეს ხაზი სსრ კავშირში ფიზიკური კულტურის საყოველთაო-სახალხო, სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.

ათი წლის წინათ, 1930 წელში, პარტიის XVI ყრილობის ტრიბუნიდან გაისმა ამხანაგ სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ჩვენში არის ყველა პირობა აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანების ახალი თაობა, „ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ადამიანები, რომლებიც შესძლებენ სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ საბჭოთა ქვეყნის ძლიერება და მკერდით დაიცვან იგი მტრების თავდასხმებისაგან“.

ეს სიტყვები იქცა მოქმედებათა პროგრამად ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობისათვის. ლენინურ-სტალინური კომკავშირის აქტიური მონაწილეობით, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ ერთიანი სრულიად-საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის საფუძველზე ჩვენს ქვეყანაში სწრაფად ვითარდება ფიზკულტურული მოძრაობა. ფიზკულტურა ხდება სტახანოვური შრომისა და ჩვენი დიადი სამშობლოს გმირული დაცვისათვის მზადმყოფ ადამიანთა აღზრდის მძლავრი ფაქტორი.

ადამიანის ყოველმხრივი, ჰარმონიული განვითარება—აი ის მიზანი, რომელიც დასახული აქვს ფიზკულტურასა და სპორტს სსრ კავშირში. ჩვენი ფიზკულტურის ამოცანაა სტალინური ეპოქის საბჭოთა ადამიანში აღზარდოს ისეთი საუცხოო თვისებები, როგორიცაა სიმამაცე და ძალა, მტკიცე ნებისყოფა, ამტანობა და დისციპლინიანობა, კოლექტივიზმისა და შეჯიბრების ჯანსაღი სული,—თვისებები, რომლებიც მიმართულია შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ, სსრ კავშირის თავდაცვისათვის მშრომელთა მომზადებისაკენ.

ჩვენს საბჭოთა ხალხს უყვარს ფიზკულტურა. ფიზკულტურელთა შორის ცოტა როდია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სტახანოველი, წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახელოვანი მებრძოლი. საბჭოთა ფიზკულტურელები ამაყობენ თავიანთი ამხანაგებით, ფიზკულტურული მოძრაობის მიერ გაზრდილებით—ამხ. მიაგკოვით, უსოვით, ბალახანოვით და უგრიუმოვით — საბჭოთა კავშირის გმირებით, რომლებიც ამ უმაღლესი სახელწოდებით დაჯილდოებული არიან საბრძოლო სამიერო საქმეებისათვის.

„მშთ“ ნიშანი პოპულარული გახდა: 1931-1939 წლების განმავლობაში 5 მილიონზე მეტმა მოზრდილმა და მილიონნახევრამდე მოსწავლემ მიიღო „მშთ“ და „იმშთ“ ნიშნები.

საბჭოთა სპორტსმენები იბრძვიან ლოზუნგით: „ყველა მსოფლიო რეკორდი საბჭოთა კავშირს უნდა ეკუთვნოდეს!“ წინ მიდიან ძალოსნები, რომლებმაც დაამყარეს 23 რეკორდი 35 ოფიციალური მსოფლიო რეკორდიდან. ორდენოსან ს. ბოიჩენკოს და ლ. მეშკოვს დამყარებული აქვთ მსოფლიო პირველობა ბრასის სტილით ცურვაში (100, 200, 400, და 500 მეტრზე). ევროპულ და მსოფლიო რეკორდებს მიაღწიეს ზოგიერთმა ჩვენმა მძლეოსნებმა, მეთხილამურეებმა და მოგლუსუნეებმა.

მაგრამ სწორი არ იქნება თავი დავიმშვიდოთ ამ პირველი წარმატებებით. მსოფლიო რეკორდების დონე მაღალია. საბჭოთა ფიზკულტურელებმა გულმოდგინედ უნდა ისწავლონ, მუდამ ივარჯიშონ, ისინი წინ უნდა იწევდნენ სპორტის ყველა სახეში, რომ მტკიცედ დაიკავონ პირველობა მსოფლიოში.

ამ ამოცანის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ფიზკულტურულ მუშაობას ყველგან ავაგებთ „მშთ“ ახალი კომპლექსის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1939 წლის 26 ნოემბერს.

„მშთ“ ახალი კომპლექსის დიდი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესაძლებლობას იძლევა სასწავლო-სავარჯიშო მუშაობა მჭიდროდ დავუკავშიროთ სასპორტო მუშაობას, ჩავაბათ მასში უფართოესი მასები და სისტემატურად ავამაღლოთ მათი სპორტული ოსტატობა.

სახელმწიფო და პროფკავშირები ფიზკულტურულ, სასპორტო მუშაობაზე უდიდეს თანხებს ხარჯავენ. საბჭოთა ფიზკულტურელების განკარგულებაშია პირველხარისხოვანი სტადიონები, ჩვენს ქვეყანაში არის ათასობით სათხილამურო და წყალსაჯომარდო ბაზები, ჩოგბურთის ბაქნები, ათიათასობით სასპორტო მოედნები. ჩვენს ფიზკულტურელებს მომსახურებას უწევენ საუკეთესო ინსტრუქტორები და მასწავლებლები.

მაგრამ ბევრ ორგანიზაციაში ფიზკულტურული მუშაობისათვის გამოყოფილ სახსრებს ხშირად უაზროდ, დაუდევრად ხარჯავენ. ამის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს საზოგადოება „ტორპედო“ გორკის ავტოქარხანაში, სადაც არსებობდა არაჩვეულებრივად გაბერილი ხელფასიანი აპარატი—200 კაცი,—რომელიც „მომსახურებას უწევდა“ 2.600 ფიზკულტურელს. ამასთან უნდა ითქვას, რომ ამ კოლექტივს მაინცდამაინც ვერ აქვს დიდი წარმატებები.

ზოგიერთი პროფკავშირული ორგანიზაცია საჭიროდ არ სთვლის კონტროლი გაუწიოს იმას, თუ როგორ იხარჯება ფიზკულტურული მუშაობისათვის გაღებული სახსრები. ზოგიერთი ნებაყოფლობითი საზოგადოება რამდენ ფულს ხარჯავს სასპორტო „ვარსკვლავების“ „გადაბირებაზე“, რამდენი ფული იფლანგება სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებათა ცუდი ორგანიზაციის გამო, როგორიც იყო, მაგალითად, შეჯიბრება პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს ხაზით ტანვარჯიშში, რომელიც ამასწინათ ჩატარდა!

პროფკავშირების ფიზკულტურულ ორგანიზაციათა, ნებაყოფლობით სასპორტო საზოგადოებათა „სპარტაკის“ და „დინამოს“ ხელმძღვანელები ვერ იყენებენ სტადიონებს, მოედნებსა და სხვა სასპორტო ნაგებობებს ისე, როგორც საჭიროა. ხშირად ეს ნაგებობანი უქმად რჩება და ეს გაცდენები ჯდება ათიათას მანეთობით.

ფიზკულტურული ორგანიზაციები მხოლოდ მაშინ შესძლებენ მუშაობის კარგად დაყენებას, როდესაც მასში ფართოდ იქნება ჩაბმული საზოგადოებრიობა. საზოგადოებრივი მუშაკები—ინსტრუქტორები, ორგანიზატორები, ინსპექტორები—აი ვინ სწყვეტს ფიზკულტურული მოძრაობის წარმატებას. არა ხელფასიან მუშაკთა გაბერილი შტატები, არამედ კვალიფიციური ხელმძღვანელი შტატი და საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა ყველა რგოლში — აი რა გვჭირდება ამჟამად. უნდა გავაიაფოთ სპორტული მუშაობის ღირებულება.

საბჭოთა მოქალაქის უპირველეს, წმინდათა-წმინდა მოვალეობას შეადგენს სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. მოწინავე სპორტსმენების პატრიოტულ მოძრაობას კი სამხედრო ცოდნისა და სპეციალობის დაუფლებისათვის ჯერ არ მიუღია სათანადო გაქანება ყველა კოლექტივში.

ფიზკულტურელები სახელოვანი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო რეზერვია. „მშთ“ კომპლექსი საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ ერთსა და იმავე დროს დავეუფლოთ სპორტის გამოყენებითს სახეებს, სამხედრო ჩვევებსა და ცოდნას (ალპინიზმი, თხილამურები, მოტოსპორტი, სროლა, ხელჩართული ბრძოლა, ყუმბარტყორცნა და სხვ.).

ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ არა მარტო კარგი მეთხილამურე, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ამტანი მეთხილამურე, ამტანი მარბენალი, რომელმაც კარგად იცის ხიშტისა და ხელყუმბარის ხმარება, იცნობს იარაღის მატერიალურ ნაწილს და იცის საუკეთესო სროლა. ამ ამოცანათა შესასრულებლად საჭიროა მჭიდრო კავშირი თავდაცვა-ავიაქიმთან და სხვა თავდაცვითს ორგანიზაციებთან, რომლებიც დაგვეხმარებიან წარმატებით განვახორციელოთ ლოზუნგი: „ყოველი სპორტსმენი საუკეთესო მსროლელია, ყოველი მსროლელი — კარგი სპორტსმენი— თავდაცვა-ავიაქიმელია!“

ყველგან როდი არის კარგად დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა ფიზკულტურელთა შორის. ფიზკულტურული მოძრაობის პრინციპულ ამოცანათა გაუგებლობა, პოლიტიკური მოუმზადებლობა, შეხედულებათა სივიწროვე, ადამიანთა მოთხოვნილებებისადმი უყურადღებობა ახასიათებს ფიზკულტურული ორგანიზაციების ზოგიერთ ხელმძღვანელს. აქედან გამომდინარეობს უხეშობის და სხვა დაუშვებელი მოვლენების ფაქტები სხვადასხვა შეჯიბრებათა ჩატარების დროს.

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის აღზრდას თავდაცვით-ფიზკულტურულ ორგანიზაციებში და დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებსა და კომკავშირელებს ადგილებზე იყვნენ ფიზკულტურული მუშაობის აქტიური მონაწილენი და ორგანიზატორები.

ძირეული კოლექტივების ორგანიზაციული განმტკიცება—აი რა მოთხოვნას უყენებენ ამჟამად ფიზკულტურულ მოძრაობას. კარგი ფიზკულტურული კოლექტივი, უწინარეს ყოვლისა, ორგანიზებულია, შემჭიდროებულია, მოწყვეტილი არ არის წარმოების — ქარხნის, ფაბრიკის, კოლმეურნეობის ინტერესებს, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს დაცვის ამოცანებს. ადამიანები მასში უნდა იყვნენ დისციპლინირებულნი, თავდაბალნი, ენერგიულნი, უნდა მუშაობდნენ გეგმის მიხედვით და ასრულებდნენ გეგმას. ასეთ კოლექტივში ჩვეულებრივად დიდია აქტივი და იგი მუშაობს გაცხოველებით, უყვარს შეჯიბრება, აფასებს მეგობრობას, მზად არის დასძლიოს ყოველგვარი სიძნელე კოლექტივის სახელისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ამოცანაა მივბაძოთ მოწინავე, კარგ კოლექტივებს, ორგანიზაციულად განვამტკიცოთ ყოველი ფიზკულტურული კოლექტივი. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება საკოლმეურნეო კოლექტივებს.

ნებაყოფლობითმა სასპორტო საზოგადოებებმა თვითონ უნდა გვიჩვენონ ორგანიზებულობის მაგალითი. დაუშვებელია, რომ ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებები დაინტერესებული არ იყვნენ თავიანთი ძირეული კოლექტივებით, უპირატესობას აძლევდნენ რომელიმე ერთ ფეხბურთელთა გუნდს, ან რომელიმე სასპორტო ჯგუფის „ზედაფენას“.

ახალი კოლექტივების შექმნისა და არსებული კოლექტივების განმტკიცებისათვის სოფლად საჭიროა კადრები. ზოგიერთი კოლმეურნეობები თავიანთი ხარჯით ამზადებენ ფიზკულტურულ მუშაკთა კადრებს. მათ ასწავლიან კურსებზე, რომლებსაც აწყობენ ფიზკულტურის ადგილობრივი კომიტეტები. ეს არის საკითხის გადაჭრის ყველაზე სწორი გზა, და ამ გზას უნდა დაადგეს ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია სასოფლო რაიონებში.

უნდა წავახალისოთ საკოლმეურნეო ორგანიზაციების ინიციატივა სასპორტო ნაგებობათა მშენებლობაში. არიან კოლმეურნეობები, რომლებმაც თავიანთი ხარჯით ააშენეს დიდი სტადიონები; მარტო კიევის ოლქში არის ფიზკულტურის 50 კარგად მოწყობილი პარკი.

ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება მოძრაობა საკოლმეურნეო წყალსატევების მშენებლობისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კოლმეურნეობათა ფიზკულტურელები იქნებიან წყალსატევების მშენებელთა პირველ რიგებში და მიიღებენ საუცხოო შესაძლებლობას მოაწყონ თავიანთი წყალსაჯომარდო ბაზები და სარიალო მოედნები, თავის მხრივ ყოველი შეძლებული კოლმეურნეობა უნდა ეხმარებოდეს ფიზკულტურელებს სხვა სასპორტო ნაგებობათა (მოედნების, სამხედრო ქალაქების და სხვ.) მშენებლობაში.

დიდია სპორტისადმი სწრაფვა ბავშვთა, მოზარდ მოსწავლეთა შორის. ბავშვში უფრო ადვილია სპორტისადმი გემოვნების ჩანერგვა, და ეს გემოვნება მას მთელ სიცოცხლეში შერჩება. მაგრამ ბავშვებთან სერიოზული მუშაობის მოწყობა განსახკომმა და მისმა ორგანოებმა ჯერ კიდევ ვერ მოახერხეს, ვერ შესძლეს ამ მუშაობის მთელი აუცილებლობის გაგება.

1939 წელს ძალაში შევიდა ახალი კანონი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ. სამხედრო საქმეს და ფიზკულტურას მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სკოლა, პიონერთა ორგანიზაციები—აი მოღვაწეობის ფართო ასპარეზი საზოგადოებრივი მუშაკებისათვის — ფიზკულტურის ინსტრუქტორებისათვის, რომლებსაც ნამდვილად უყვართ საბჭოთა ბავშვები. მთავარი როლი აქ უნდა შეასრულონ განსახკომმა და მისმა ორგანოებმა ადგილებზე. მათ უნდა უზრუნველჰყონ სკოლაში ფიზკულტურის ნორმალური დაყენება, მათ კი დაეხმარებიან კომკავშირული ორგანიზაციები, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებანი და მთელი ფიზკულტურული საზოგადოებრიობა.

საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ 1940 წელი იყოს გარდატეხის წელიწადი ბავშვებსა და ახალგაზრდობაში ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში, ძირეული კოლექტივების, ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების განმტკიცებაში და ფიზკულტურის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობისადმი ფართო საზოგადოებრიობის მიზიდვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის სარდლობის ცნობა

ბერლინი, 17 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს გერმანიის სარდლობის შემდეგ ცნობას:

„არახელსაყრელი ამინდის გამო, ავიაციის მოქმედება შეზღუდული იყო. გერმანიის თვითმფრინავებმა ჩრდილოეთ შოტლანდიაში იერიში მიიტანეს ტერსის ნავსადგურის ნაგებობებზე. ბომბარდირების შედეგად მტრის ერთ სავაჭრო გემს ცეცხლი გაუჩნდა. გერმანიის ავიაციამ წარმატებით დაუშინა ყუმბარა ინგლისის ჯარის ბანაკს, რომელიც სკაპა ფლოუს სამხრეთ-რაიონში იყო განლაგებული. გერმანიის ტერიტორიას მტრის ავიაცია თავს არ დასხმია“.

ინგლისისა და გერმანიის ავიაციის ზარალი

ბერლინი, 17 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ინგლისის პროპაგანდის მტკიცების გამო, თითქოს გერმანიის ავიაციის ზარალი 23 ივნისიდან 12 ივლისამდე, ინგლისის ზარალთან შედარებით ერთიხუთად და ერთიექვსადაც კი მეტია, გერმანიის პრესა იუწყება, რომ დროის აღნიშნულ პერიოდში ინგლისის ავიაციამ, გამოქვეყნებულ სამხედრო ცნობების თანახმად, დაჰკარგა 223 თვითმფრინავი, მაშინ როდესაც გერმანიამ დაჰკარგა 47 თვითმფრინავი.

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო რადიოთი გადმოგვცემს, 23 ივნისიდან გერმანიის ავიაციამ ინგლისსა და ინგლისის გემების ქარავნებზე თავდასხმების დროს 143 თვითმფრინავი დაჰკარგა, თვითმფრინავთა იმ მნიშვნელოვანი რაოდენობის ჩაუთვლელად, რომლებიც დაზიანდნენ. ამავე ხნის განმავლობაში ინგლისის ავიაგამანადგურებელმა ავიაციამ ინგლისის სანაპიროებთან ბრძოლებში 19 თვითმფრინავი დაჰკარგა.

ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკე

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეს, რომელშიაც ნათქვამია, რომ 15 ივლისს ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის აეროდრომებს ლიზიესა და ევრში, ნორმანდიაში. 15 ივლისს ღამით მათ კვლავ დაუშინეს ყუმბარა ნორდერნეის და დეკოის აეროდრომებს ჰოლანდიაში. ცეცხლი გაუჩნდა ანგარებს, საწვავი მასალით სავსე რეზერვუარებს, აგრეთვე აეროდრომებზე მყოფ თვითმფრინავებს. ინგლისის ყუმბარმშენთა სხვა შენაერთები განმეორებით დაესხნენ თავს ნავთსაწმენდ ქარხნებს ჰანოვერში და პადერბორნის აეროდრომს. კვლავ დავუშინეთ ყუმბარა ჰამსა და ოსნაბრიუკს. საქონლის საწყობებში ხანძარი გაჩნდა. ყუმბარები ვესროლეთ ბრძმედს გამბორნში (რური) და სამხედრო ქარხანას დორტმუნდში. სანაპირო თავდაცვის ავიაცია თავს დაესხა ჰოლანდიის სანაპიროს. ყუმბარა დავუშინეთ სამხედრო საწყობებს, სადაც დიდი ხანძარი გაჩნდა. ინგლისის ყველა თვითმფრინავი უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზაში.

გუშინ, ცუდი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს მტრის აეროდრომებს ჩრდილოეთ საფრანგეთში, აგრეთვე არმანტიერის მახლობლად თავმოყრილ კარჭაპებს. ამ ოპერაციების დროს ინგლისის ერთი თვითმფრინავი უგზო-უკვლოდ დაიკარგა.

გუშინ ინგლისის სანაპიროზე თავდასხმის დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა ჩამოაგდეს მტრის სამი ყუმბარმშენი.

ბრძოლები ხმელთაშუა ზღვაზე და აფრიკაში

ბერლინი, 17 ივლისი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს იტალიის სარდლობის შემდეგს ცნობას: „იტალიის წყალქვეშა ნავმა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჩასძირა ინგლისის დიდი ნავთსასხმელი გემი. მალტაში მომხდარი საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოგდებულ იქნა მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი. იტალიის ერთი თვითმფრინავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა. იტალიის ავიაციამ კვლავ წარმატებით დაუშინა ყუმბარა ალექსანდრიის ნავსადგურს. ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის საჰაერო ძალებმა წარმატებით დაუშინეს ყუმბარა შერსა მატრუხის და სიდი ბარანის აეროდრომებსა და ანგარებს. იტალიის ყველა თვითმფრინავი თავის ბაზაში დაბრუნდა. იტალიის ჯარმა წარმატებით მოიგერია მტრის იერიში იტალიის პოზიციებზე კაპუცოს ფორტის ჩრდილოეთით. ამ იერიშში მოწინააღმდეგემ საბრძოლველად გამოიყვანა 50-მდე ტანკი და გამოიყენა ხელოვნური ნისლი. ღამით მტრის თვითმფრინავებმა კვლავ მიიტანეს იერიში ტობრუკის ნავსადგურზე, მაგრამ იერიშს ზიანი არ მოუყენებია.

აღმოსავლეთ აფრიკაში ადგილობრივი მოსახლეობისაგან შემდგარმა იტალიის ჯარმა დაიკავა გეზანი, კურმუკის მახლობლად, და ხელთ იგდო დიდძალი იარაღი და ინგლისის დროშა. კენიაში, მოიალეს რაიონში მომხდარი ოპერაციების დროს იტალიის ჯარმა დაიკავა ინგლისის ქალაქი მოიალე. მტრის ავიაცია თავს დაესხა აგორდატს, ასმარასა და ასაბს (ერიტრეა). ამ თავდასხმამ მხოლოდ უმნიშვნელო ზიანი გამოიწვია. ჩამოგდებულ იქნა მტრის ერთი თვითმფრინავი. იტალიის ერთი წყალქვეშა ნავი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა“.

ინგლისის მუშათა ორგანიზაციები მთავრობიდან ჩემბერლენის გაძევებას მოითხოვენ

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). ერისა და ბიუტის (შოტლანდია) საგრაფოების პროფესიულ კავშირთა საბჭომ ამ კავშირში შემავალ ორგანიზაციებს ხელმოსაწერად გაუგზავნა რეზოლუცია, რომელიც ერის საგრაფოს მაღაროელთა კავშირის ერთერთმა სექციამ გამოიტანა და რომელიც მოითხოვს, რომ „ინგლისის სახელმწიფოს რეალურად დაცვის მიზნით გაძევებულ იქნას მთავრობიდან დაზავების პოლიტიკის ყველა მომხრე“, კერძოდ, ჰალიფაქსი, ჩემბერლენი, ჰორი, კინგსლი ვუდი და სხვები. რენფრუს საგრაფოს პეისლის (შოტლანდია) პროფკავშირმა ასეთივე რეზოლუცია გამოიტანა და გადასწყვიტა მიჰმართოს გლაზგოს პროფკავშირს, რათა მთელს შოტლანდიაში გაჩაღდეს კამპანია მთავრობიდან ამ პირთა გაძევების სასარგებლოდ. ლონდონის ფულემის რაიონის პროფსაბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიესალმება რკინიგზელთა ნაციონალური კავშირის გადაწყვეტილებას —მოითხოვოს ჩემბერლენისა და მისი მომხრეების გაძევება მთავრობიდან. ასეთივე რეზოლუციები გამოიტანა ინგლისის მრავალმა მუშათა ორგანიზაციამ.

ბატლერის განცხადება თემთა პალატაში

ლონდონი, 17 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბატლერმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ამიერიდან თავისუფლად სთვლის თავს იმ ვალდებულებათაგან, რომლებიც მან რუმინეთთან გარანტიების შესახებ დადებული შეთანხმებით იკისრა.

ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 17 ივლისი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წინააღმდეგია იმ „მსოფლიო სავაჭრო გზების“ დახურვისა, როგორც მაგალითად, ბირმიდან და საფრანგეთის ინდოჩინეთიდან ჩინეთში მიმავალი გზებისა.

ჰელის განცხადების ტექსტი ამბობს: „უპასუხა რა პრესის წარმომადგენლების შეკითხვებზე იმ ცნობების გამო, რომ იაპონიის წინადადებით ინგლისის მთავრობამ დროებით აკრძალა ზოგიერთი საქონლის გადაზიდვა ჩინეთში ეგრეთწოდებული ბირმის გზით, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: ამერიკის მთავრობა კანონიერად არის დაინტერესებული იმით, რომ მსოფლიოს ყველა ნაწილში სავაჭრო გზები ღია დარჩეს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ასეთი მოქმედება, თუ იგი განხორციელდა, და ასეთი მოქმედება, როგორსაც ამას წინათ მიმართეს ინდო-ჩინეთზე გავლით მიმავალი რკინიგზის წინააღმდეგ მსოფლიო ვაჭრობისათვის ისეთი დაბრკოლების შექმნად მიაჩნია, რომელიც არაფრით არ მართლდება“.

ფინეთის სეიმმა დაამტკიცა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულება

ჰელსინკი, 17 ივლისი (საკდესი). გაზეთი „უუსი სუომი“ იუწყება, რომ სეიმის გუშინდელ სხდომაზე მეორედ განხილვის დროს დამტკიცებულ იქნა საბჭოთა კავშირ-ფინეთის სავაჭრო ხელშეკრულება და მთავრობის დადგენილება საბჭოთა კავშირ-ფინეთის საანგარიშსწორებო ხელშეკრულების ძალაში შესვლის შესახებ.

შვეიცარიის ეკონომიური სიძნელეები

ბერლინი, 17 ივლისი (საკდესი). ბიულეტენი „დინსტ აუს დოიჩლანდი“ იუწყება, რომ შვეიცარია მძიმე ეკონომიურ და ფინანსიურ მდგომარეობაში ჩავარდა. არმიის დემობილიზაციის შემდეგ განთავისუფლდა ნახევარი მილიონი მუშახელი, რომელთათვისაც სამუშაოს მიცემა ძნელია. ეს სიძნელეები მით უფრო ძლიერდება, რომ შვეიცარია ეკონომიურად იზოლირებული აღმოჩნდა.

„გერმანიაში,—სწერს ბიულეტენი, — ფიქრობენ, რომ შვეიცარიამ უნდა აღიაროს, რომ იგი ეკუთვნის იმ ქვეყნებს, რომლებიც ეკონომიურად გერმანიის გარშემო ჯგუფდებიან, და მაშინ აღმოფხვრილი იქნება ეკონომიური სიძნელეები“.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში. ჩეძიანის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ძლიერი საარტილერიო სროლაა იაპონიის სამხედრო გემებსა და ჩინეთის ფორტებს შორის ჩენხაის და ნინბოს მისასვლელებთან. იაპონური წყაროებიდან მიღებული ცნობების თანახმად, იაპონელებმა ამ რაიონში ორი კუნძული დაიკავეს.

სამხრეთ ჩინეთში. გუანსის პროვინციის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ბრძოლა ცვალებადი წარმატებით გრძელდება ლუნჩოუს რაიონში.

ჩრდილოეთ-ჩინეთის ფრონტზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები მიღებული არ არის.

O

16 ივლისს იაპონიის საზღვაო ავიაცია თავს დაესხა ჩუნცინს და ყუმბარა დაუშინა ქალაქს და მის მიდამოებს.

17 ივლისს იაპონიის 52 თვითმფრინავმა კვლავ დაუშინა ყუმბარა ქალაქს ორ ჯგუფად. ყუმბარების აფეთქების შედეგად ქალაქის ქვედა ნაწილში დაიწვა კვარტალი, სადაც ხის სახლები იყო გაშენებული. ძალიან დაინგრა ჩუნცინის ცენტრი.

17 ივლისი (საკდესი).

ინგლის-იაპონიის შეთანხმება

ტოკიო, 17 ივლისი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი იუწყება, რომ ინგლისსა და იაპონიას შორის ეს არის ახლა დაიდო შეთანხმება ჩინეთის მთავრობისათვის საომარი მასალის ბირმასა და ჰონკონგზე ტრანსპორტირების შეწყვეტის შესახებ.

ამ ცნობაში ნათქვამია:

„იმ მოლაპარაკების შედეგად, რომელიც უკანასკნელ ხანს იაპონიისა და ინგლისის მთავრობებს შორის სწარმოებდა ინგლისის ტერიტორიაზე ჩინეთისათვის საომარი მასალის გატარების საკითხზე, ამჟამად მიღწეულია შემდეგი შეთანხმება: 1. ჰონკონგიდან საომარი საჭურვლის ექსპორტი აკრძალული იყო ჯერ კიდევ 1939 წლის იანვარში. არავითარი სამხედრო მასალა გატანილი არ უნდა იქნას ჰონკონგიდან ჩინეთში არც ამჟამად, არც მომავალში. იმ საქონლის ექსპორტი, რომლის გატანა ბირმიდან აკრძალულია (სია მოყვანილია ქვემოთ), ბუნებრივად აკრძალულია ჰონკონგიდანაც. 2. ინგლისის მთავრობამ, ა. წ. 18 ივლისიდან დაწყებული სამი თვის ვადით უნდა აკრძალოს ბირმაზე სამხედრო საჭურვლის და აგრეთვე ბენზინისა, საბარგო ავტომანქანებისა და რკინიგზების მშენებლობისათვის საჭირო მასალის ტრანზიტი. 3. იაპონიის საკონსულოების მოხელეები ჰონკონგსა და რანგუნში (ბირმა) მჭიდრო კონტაქტს დაამყარებენ ინგლისის ხელისუფლებასთან ამ აკრძალვის ეფექტიურობის უზრუნველსაყოფად“.

ჩინეთის პროტესტი ინგლისისადმი

ჩუნცინი, 17 ივლისი (საკდესი). ჩინეთის ნაციონალურმა მთავრობამ ენერგიული პროტესტი განუცხადა ინგლისის მთავრობას იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მიიღო იაპონიის მოთხოვნა და გადასწყვიტა დროებით აკრძალოს ზოგიერთი საქონლის გატანა ჩინეთის მთავრობისათვის ბირმა-ჩინეთის გზით.

ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ინგლის-იაპონიის შეთანხმების შესახებ

ჩუნცინი, 18 ივლისი (საკდესი). ინგლის-იაპონიის იმ შეთანხმებასთან დაკავშირებით, რომელიც ბირმაზე გატარებით ჩინეთში მასალების ტრანზიტის შეწყვეტას შეეხება, ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია: „მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის მთავრობამ განმეორებით განაცხადა პროტესტი ბირმაზე გატარებით ტვირთზიდვის შეწყვეტის შესახებ, ინგლისის მთავრობამ იაპონელთა ზეგავლენით მიიღო იაპონელთა მოთხოვნა, დაეთანხმა რა განსაზღვრული ვადით დახუროს გზა ბირმაზე გატარებით ჩინეთში ზოგიერთი საქონლის ტრანზიტისათვის ჩინეთის მთავრობას არ შეუძლია ინგლისის მთავრობის ეს მოქმედება არ ჩასთვალოს არამეგობრულ და უკანონო მოქმედებად.

გასაგებია, რომ ბირმაზე გატარებით ტვირთზიდვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს აგრესიის წინააღმდეგ ჩინეთის ბრძოლისათვის. იაპონელთა მოთხოვნის მიღებით ინგლისი დიდ უპირატესობას ანიჭებს აგრესორს და ამრიგად ინგლისის მოქმედება ჩინეთის მტრისადმი დახმარებას უდრის.

ჩინეთსა და ბირმას შორის სავაჭრო ურთიერთობა ემყარება ჩინეთსა და ინგლისს შორის XIX საუკუნის დამლევს დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებებს. ამ ხელშეკრულებებში არის გარკვეული პუნქტები ბირმასა და ჩინეთს შორის სავაჭრო გზების ხელისშეწყობისა და განვითარების შესახებ. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება დახუროს გზა როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს“.

„დიდი შეცდომა იქნებოდა, — ნათქვამია დასასრულ, — გვეფიქრა, რომ ბირმიდან ჩინეთს მიმავალი გზით ტვირთზიდვის შეწყვეტასთან დაკავშირებით ჩინეთი დასთანხმდება ზავს და მიიღებს იაპონელების მიერ ხაკარნახევს ზავის ყოველსავე პირობებს. ჩვენ ყოველსავე პირობებში განვაგრძობთ ბრძოლას და დარწმუნებული ვართ, რომ გავიმარჯვებთ, მიუხედავად იმისა, გვიღალატებენ ჩვენ თუ არა“.

იაპონიაში ახალი კაბინეტის შექმნის გამო

ტოკიო, 17 ივლისი (საკდესი). როგორც დომეი ცუსინის სააგენტო გადმოგვცემს, იაპონიის უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწეების კონფერენციაზე, რომელიც ბეჭდის მცველმა ლორდმა მარკიზ კიდომ იმპერატორის დავალებით მოიწვია პრემიერის თანამდებობაზე კანდიდატის რეკომენდაციისათვის, ამ თანამდებობაზე ერთსულოვნად წამოყენებულია საიდუმლო საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის პრინც კონოეს კანდიდატურა; პრინცი კონოე იმ მოძრაობის ლიდერია, რომელიც მოითხოვს „ახალი პოლიტიკური სტრუქტურის შექმნას იაპონიაში“. როგორც გადმოგვცემენ, პრინცმა კონოემ კონფერენციაზე განაცხადა, რომ მას უფრო სასურველად მიაჩნია პრემიერის თანამდებობაზე ისეთი მოღვაწის წამოყენება, რომელიც უფრო იცნობს ახლანდელ ვითარებასა და სამხედრო საქმეს.

იაპონიის უმაღლესი სახელმწიფო მოღვაწეების კონფერენციის ერთსულოვანი გადაწყვეტილება გენრო საიონჯის გადაეცა. მოელიან, რომ ტოკიოში იმპერატორის დაბრუნების შემდეგ მარკიზი კიდო რეკომენდაციას გაუკეთებს პრინც კონოეს, როგორც კანდიდატს პრემიერის თანამდებობაზე.

ინგლის-საფრანგეთის ურთიერთობა

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). საფრანგეთის მთავრობამ ეკონომიურ და სავაჭრო საკითხთა ლიკვიდაციის აგენტად ინგლისში მორანი დანიშნა. ინგლისის მთავრობამ თავის მხრივ დანიშნა აგენტი, რომელიც როგორც ხმები დადის, მხოლოდ საფრანგეთის არაოკუპირებულ ტერიტორიაზე იქნება და ამიტომ არ გაჰყვება საფრანგეთის მთავრობას, თუ მთავრობა ვიშიდან ვერსალს წავა.

ჟურნალისტთა წრეების აზრით, ეს ცნობა იმას მოწმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა ამჟამად ნაკლებად არის განწყობილი ინგლისთან ურთიერთობა გასწყვიტოს.

გენერალ დე გოლის საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტი

ლონდონი, 18 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება: „გენერალ დე გოლის მიერ ლონდონში საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის შექმნამ ერთგვარი შეშფოთება გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით რეიტერის სააგენტოს დიპლომატიურ კორესპონდენტს გენერალ დე გოლის შტაბში განუცხადეს, რომ ნაციონალური კომიტეტი არ იქნება პოლიტიკური კომიტეტი, მსგავსი იმ კომიტეტებისა, რომლებიც უკვე შედგენილია ინგლისში ზოგიერთი სხვა ქვეყნის მიერ. საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტი წმინდა ტექნიკური დაწესებულებაა“.

ხმები იმის შესახებ რომ პეტენის მთავრობა პარიზს გადადის

ნიუ-იორკი, 17 ივლისი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, კარგად ინფორმირებულ წრეებში აცხადებენ, რომ პეტენის მთავრობა, ალბათ, უახლოეს დღეებში პარიზს გადავა. გადმოგვცემენ, რომ დროებითი ზავის გერმანია-საფრანგეთის კომისიის წევრი ნოელი ამჟამად პარიზში იმყოფება, სადაც იგი მოლაპარაკებას აწარმოებს გერმანიის სამხედრო ხელისუფლებასთან.

გენერალ ფრანკოს განცხადება

ნიუ-იორკი, 18 ივლისი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტის ცნობით, გენერალმა ფრანკომ არმიის, ფლოტისა და ავიაციის ოფიცერთა კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა. ფრანკომ განაცხადა, რომ „მისი რეჟიმის მოვალეობა და მისია არის განახორციელოს დედოფალ იზაბელას ცდა დაეპყრო გიბრალტარი, ექსპანსია აფრიკაში და ნაციონალური ერთობის დაცვა“. ფრანკო ამტკიცებდა, რომ „ესპანეთს ჰყავს 2 მილიონი ჯარისკაცი, რომელნიც მზად არიან პირისპირ შეხვდნენ ყველას, ვინც უნდა იყოს და დაიცვან ესპანეთის უფლებები“.

ესპანური პრესა ათავსებს მილანიდან მიღებულ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ გიბრალტარის ინგლისელმა გუბერნატორმა განუცხადა იმ პირთ, რომელთაც წინადადება მიეცათ დასტოვონ გიბრალტარი, რომ „ადრე თუ გვიან ჩვენ ყველანი უნდა წავიდეთ აქედან“.

აფხაზეთი. რიცის ტბის ერთი კუთხე.
ფოტო—გ. ტოლმაჩევისა.

რ ი ც ა

აფხაზეთში არის ულამაზესი ტბა—რიცა, რომლის სახელი შორს არის განთქმული. იგი მდებარეობს გუდაუთის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროდან 36 კილომეტრის დაშორებით, მთებში, ზღვის დონიდან 925 მეტრის სიმაღლეზე. კავკასიონის მთაგრეხილიდან იგი დაშორებულია მხოლოდ 6 კილომეტრით. ტბის სიგრძე 3 კილომეტრს უდრის, სიგანე 500-დან 800 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიღრმე ალაგ-ალაგ 100 მეტრს უდრის.

რიცის ტბას ბევრი ექსკურსანტი ნახულობს. ყოველდღე აქ შეხვდებით ათეულობით საექსკურსიო მანქანებს სოჭიდან, გაგრიდან, სოხუმიდან, გულრიფშიდან, ფსირცხიდან, გუდაუთიდან, მოდიან ყირიმის განთქმული კურორტებიდანაც, ოდესიდანაც.

ორი წლის წინათ რიცამდე, მდინარე ბზიფისა და იუპშარას გასწვრივ შესანიშნავ ხევებში გაყვანილ იქნა კარგი გზატკეცილი, რომელიც ერთ მილიონ მანეთამდე დაჯდა. გზა პირველად მიჰყვება აქაფებული ბზიბის ნაპირებს, ხოლო შემდეგ ეყოფა მას და მისდევს მდინარე იუპშარას. აქედან იწყება ბუნების ის მომაჯადოებელი სილამაზე, რომელიც შეუდარებლად შეიძლება ჩაითვალოს და რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავს ყველა მნახველი. ორივე მხრიდან ამართული უზარმაზარი მთები, რომლებიც შუა გაუპია მდინარეს და რომელთა სიმაღლე ალაგ-ალაგ 2.700 მეტრამდე აღწევს, შენაბდულია ნაძვისა და ფიჭვის ტყეებით. შუა ზაფხულში აქ სიცივე იგრძნობა. ტბასთან მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური.

მეტად საინტერესოა რიცის ტბის წარმოშობის ისტორია. მეცნიერების აზრით, იგი წარმოიშვა ფშეგიშხოს მთის ნგრევის შედეგად, რაც 200-300 წლის წინათ უნდა მომხდარიყო. ამას ადასტურებენ იმით, რომ ტბის ძირზე ახლაც უხვად მოიპოვება სოჭის მორები. ტბის შესახებ აფხაზებს შეუქმნიათ საინტერესო ლეგენდა: ოდესღაც აქ, ამ მთაში იყო მდიდარი სოფელი, რომელსაც ეწვია ერთი მოხუცი. სოფლელები არ გაუმასპინძლდნენ მოხუცს და მან თავი შეაფარა მეზობლად მცხოვრებ ქვრივს. ამის გამო მოხუცმა დასწყევლა სოფელი, ხოლო ქვრივს სიმდიდრე აჩუქა. მალე მოვარდა წყალი, რომელმაც ჩასძირა სოფელი და დადგა ტბად. ასე აუხსნია ხალხს ამ მაღალ მთებში ტბის გაჩენა.

რიცის ტბა, რომელიც კავკასიონის თოვლიანი მთების ძირში მდებარეობს, საქართველოს ერთერთი ყველაზე ულამაზესი კუთხეა.

გ. მერკვილაძე

საგარეუბნო კურორტის გაშენება წყნეთში

წყნეთი აღიარებულია თბილისის ყველაზე მახლობელ და მაღალთვისებიან საკურორტო ადგილად. განსაკუთრებით კარგი და მარგებელია წყნეთი ბავშვებისათვის.

მიუხედავად ამ შესანიშნავი სამკურნალო და კლიმატური თვისებებისა, წყნეთი, როგორც საკურორტო ადგილი, ჯერ კიდევ გაუშენებელია. თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ამ რამდენიმე თვის წინათ წყნეთში მიავლინა სპეციალისტთა ბრიგადა წყნეთის, როგორც საკურორტო ადგილის, დასაგეგმავად. გამოყოფილია მიწის ნაკვეთები, სადაც უნდა გააშენონ სააგარაკო სახლები და დანიშნულია ადგილები საერთო საკურორტო სარგებლობის ადგილების მოსაწყობად (პარკის გასაშენებლად, სახალხო სანახაობითი დაწესებულებების ასაგებად და სხვ.).

თბილისის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს და უხელმძღვანელოს წყნეთში ახალ საკურორტო მშენებლობას. კომისიაში შედიან—ვ. სალაძე (თბილისის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე), გ. ცაგარელი (თბილისის საბჭოს საექსპერტო - ტექნიკური კომისია), ა. ქურდიანი (არქიტექტორი) და თბილისის საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი.

ალპინიადა მყინვარწვერზე

18 ივლისს თბილისიდან ყაზბეგისაკენ გაემგზავრა ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებათა — „სპარტაკის“, „მოსავლის“, „მედიკოსის“, „მასწავლებლის“ და სხვა 70 ფიზკულტურელი. ნაკრები ალპინიადის მყინვარწვერზე ასვლა მიძღვნილია ფიზკულტურელის მეორე სრულიად-საკავშირო დღისადმი. ალპინიადის მონაწილეებს მყინვარწვერის დაძლევა „მშთ“-ს ნორმად ჩაეთვლებათ.

ლაშქრობას ატარებს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა სრულიად-საქართველოს კომიტეტთან არსებული საქართველოს ალპიური კლუბი; მას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის ალპინისტის მეორე საფეხურის ნიშნოსანი ამხ. კ. ჯავრიშვილი და უფროსი ინსტრუქტორი ამხ. გ. გიორგობიანი.

მყინვარწვერზე ასვლის წინ იქვე ჩატარდება რამდენიმე საწვრთნელი მეცადინეობა ყინულსა და კლდეზე სიარულის ტექნიკის შესასწავლად. (საქდესი).

ყოველდღიური რეისები თბილის-მოსკოვის საჰაერო ხაზზე

საჰაერო-სანავიგაციო სეზონის გახსნასთან ერთად „პს—84“ ტიპის 21-ადგილიანი სწრაფმფრენი სამგზავრო თვითმფრინავების რეისები თბილის-მოსკოვის ხაზზე დღეგამოშვებით ხდებოდა.

ამჟამად ამ მაგისტრალზე დაწესებულია ყოველდღიური მიმოსვლა.

სეზონის გახსნის მომენტიდან ხაზზე გადაყვანილია 1.000-ზე მეტი მგზავრი.

O

შემოღებულია აგრეთვე სწრაფმფრენი საფოსტო თვითმფრინავების ყოველდღიური რეისები თბილის-მოსკოვის ხაზზე. (საკდესი).

პ. პ. ჯაიანის საპარაშუტო გადმოხტომა ზღვაში

ორდენოსან საქართველოს პარაშუტისტები გაცხოველებით ემზადებიან სსრ კავშირის მასობრივი პარაშუტიზმის 10 წლისთავისათვის.

3 ივლისს, საღამოს 7 საათზე, პარაშუტისტმა პ. პ. ჯაიანმა შეასრულა საცდელ-საჩვენებელი საპარაშუტო გადმოხტომა თვითმფრინავიდან ზღვაში 1000 მეტრის სიმაღლიდან.

თვითმფრინავს მართავდა მფრინავი ნ. ი. ტრეგუბოვი. (საქდესი).

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში

20 ივლისს, საღამოს 8½ საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში შესდგება ამხ. ცაგარეიშვილის ლექცია თემაზე: ლენინის გეგმა რუსეთის ელექტროფიკაციის შესახებ („გოელრო“).

დღეს თეატრებსა და კინოებში

სახესტრადის საზაფხულო თეატრი — 19 ივლისს—კიევის და მოსკოვის ესტრადის მსახიობთა საღამო. დაწვრილებით პროგრამაში.

კინოებში: **რუსთაველის** სახელობის— „დიდი ვალსი“; **ოქტომბერი** — „ასალი“; **დამკვრელი** (ზაფხულის) — „დიდი ვალსი“; **დამკვრელი** (ზამთრის) — „დიდი ვალსი“; **კომკავშირელი** (ზაფხულის) — „დიდი ვალსი“; **სპარტაკი** — „ელისო“; **ლუქსემბურგის** სახ. — „მეკარე“; **26 კომისრის** სახელობის (ზაფხულის) — „ასალი“; **26 კომისრის** სახელობის (ზამთრის) — „უშიშარნი“; **კომინტერნი** — „გადასვლა“; **ს. ორჯონიკიძის** სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — „ასი კაცი და ერთი ქალიშვილი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

საქსახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. 123. ტელ. 3-18-50

საზაფხულო თეატრი
19 ივლისს
კიევის და მოსკოვის ესტრადის მსახიობთა
მხოლოდ ერთი საღამო
მონაწილეობენ:
ლეონიდ ნოვიკოვი
(ბოშური სიმღ. და არიები. ოპერეტ.)
გიორგი მიშევსკი
(ხუმრობა, ჰუმორი, სატირა)
ალ. კოვბასინსკი
(გავაის გიტარა—ბალალაიკა)
ანა მოსკალენკო
(მხატ. სიტყვა)
იანინა ბრონსკაია
(ბალეტი)
მ. პოლოვიკოვა და პეტრეიკოვი
(სკეტჩი)
კონფერანსიე: პატაშონი

20—21—22 ივლისს
ბოშური რომანსების და ლირიკული სიმღერების შემსრულებლის
ალექსანდრა ლუკიანჩენკოს
კონცერტი
მონაწილეობენ:
დანიელ კრიჩევსკი
(ვიოლინო)
ვლადიმერ პეტროვი
(მხატვ. სიტყვის ოსტატი)
ლ. ბერკოვიჩი და ს. იაგოდინსკი
(ბალეტი)
იაკ. ნემიროვსკი (ფ. პ.).

ღია ესტრადა 20 და 21 ივლისს
ესტრადის მსახიობთა საღამო—კონცერტი
დასაწყისი საღამოს 10 საათზე
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის ბილეთებით.

ყოველდღე ბაღში უკრავს ჯაზ—ორკესტრი
ამდურის ხელმძღ. სოლისტი მომღერალი ვიჩეგჟანი
ბაღში იყიდება ლუდი.

დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ. სალარო ღიაა დილის 11 საათ. 2 ს. 30 წ.
საღ. 6 საათ. 10 ს. 30 წ.

საქართველოს სახელმწიფო ზოოვეტერინარულ-საველეტერინარო ინსტიტუტი აცხადებს

რომ, უმაღლესი ორგანოების დადგენილების საფუძველზე, 1940/41 სასწ. წლ. მიღების წესებში, რომლებიც გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კომუნისტ-ის“ ა/წ. 2 ივლისის № 150-ში, შეტანილია ცვლილება:

ინსტიტუტში შემომსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი და წერა), 3. ქიმიაში და 4. ფიზიკაში.

საქ. ზოოვეტინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი. მარის ქ. № 17.

1078 საქ. სახ. ზოოვეტინსტიტუტის დირექტორი — დოც. ნ. მესხი.

თბილისის კინოსტუდია ამზადებს საბავშვო მხატვრულ ფილმს

„ქ ა ჯ ა ნ ა“-ს

(ნ. ლომაურის ნაწარმოების მიხედვით)

საჭიროა ორივე ასაკის ბავშვები 7-12 წლამდე. მსურველებს ვთხოვთ გამოცხადდნენ მსახიობთა ბიუროში ა/წ. 20-დან 30 ივლისამდე ყოველდღე 12-დან 4 საათამდე.

მისამართი—პლეხანოვის პროსპ. № 175

151 დირექცია.

ლ. პ. ბერიას სახელობის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დირექცია აცხადებს, რომ თანახმად ზემდგომი სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა ინსტიტუტში მიღების წესებში შეტანილია ცვლილებები

1. ის პირნი, რომელთაც სურთ ჩარიცხვა მემინდვრეობის, მეაბრეშუმეობის, მცენარეთა დაცვის, მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის, სუბტროპიკულ და სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტებზე — გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:
   1. ქართული ენა (წერითი და ზეპირი).
   2. რუსული ენა (წერითი და ზეპირი).
   3. ფიზიკა.
   4. ქიმია.
2. ტექნოლოგიურ და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ფაკულტეტებზე შემსვლელნი აბარებენ:
   1. მათემატიკას (წერითი და ზეპირი)
   2. ქართულ ენას (წერითი და ზეპირი)
   3. რუსულ ენას (წერითი და ზეპირი)
   4. ფიზიკას
   5. ქიმიას.

   შენიშვნა: ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე შემსვლელნი გარდა ზემოხსენებული საგნებისა აბარებენ ერთერთ უცხო ენას (გერმანული, ფრანგული, ან ინგლისური).
3. დანარჩენი პირობები უცვლელია.
4. შემომსვლელთა საექიმო შემოწმება იწარმოებს 29, 30 და 31 ივლისს.
5. 31 ივლისს ინსტიტუტის კლუბში დღის 12 საათზე შესდგება გამოცდებზე დაშვებულთა საერთო კრება. კრების შემდეგ დარიგდება საგამოცდო ფურცლები.

150 ინსტიტუტის დირექტორი დოც. ნ. გელაშვილი

მიღების პირობები თბილისის მეორე სამედიცინო და ბავშვთა დაწესებულების დების სკოლაში 1940-41 სასწავლო წელს

1. სკოლას აქვს ორი სექტორი: ა) სამედიცინო და ბ) საბავშვო დაწესებ. დების სკოლა ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სამედიცინო მუშაკებს სამედიცინო დის და საბავშვო დაწესებ. დის სახელწოდებით.
   სწავლის ხანგრძლივობა—2 წელი.
2. სკოლის კურსდამთავრებულთ სათანადო საწარმოო სტაჟის გავლის შემდეგ უფლება აქვთ შევიდნენ უმაღლეს სასწავლებელში საერთო წესით.
3. სკოლაში მიიღებიან სათანადო გამოცდების შემდეგ 15-35 წლამდე ასაკის მქონე მდედრობითი სქესის მოქალაქენი, რომელთაც მიღებული აქვთ განათლება არა ნაკლებ საშუალო სკოლის 7 კლასისა.
4. გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ა) მშობლიური ენა (წერა და ზეპირი), ბ) მათემატიკა, გ) ფიზიკა, დ) გეოგრაფია და პოლიტცოდნა.
   შენიშვნა: უგამოცდოდ ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ფრიადოსნები, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, მუშფაკ და ტექნიკუმდამთავრებულნი.
5. განცხადებების მიღება სწარმოებს ყოველდღე, გარდა დასვენების დღისა, ა. წ. 20 აგვისტომდე საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე.
6. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს განათლების მოწმობა (დედანი), წლოვანობის, ჯანმრთელობის მოწმობა და ორი ცალი ფოტო-სურათი გადაღებული უქუდოდ და შემოწმებული.
7. მისაღები გამოცდები იწარმოებს 20-დან 25 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება ზუსტად 1 სექტემბერს.
8. სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

მისამართი: თბილისი, სანაპირო ქუჩა № 19, მე-6 საშუალო სკოლის შენობაში, ტელეფ. 3-36-23.

1069 სკოლის დირექცია.

დაკარგულია მოლოტოვის სახ. საბინაო სამმართველოს სახლთმმართველობის ბეჭედი № 71. ჩ. გ. 7188

დაკარგულია მოლოტოვის რაისაბჭოს სამმართველოს სახლთმმართველობის № 77 სამკუთხედი ბეჭედი, შტამპი დიდი და პატარა. ჩ. გ. 22

შვილები: ჰიჭიკო, ქეთო, ლულუნი, კუკური მამულაშვილები, ძმა ვლადიმერ ბაქრაძე ოჯახობით იუწყებიან
პატკუ ბაქრაძე-მამულაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/VII ქ. მახარაძეში. 7190

თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მუშა-მოსამსახურეები თანაუგრძნობენ ამხ. ცაბაევს მისი მამის
მიხეილ ცაბაევის
გარდაცვალების გამო. დაკრძალვა სოფ. ძალისში (მცხეთის რ.). 8/VII. 7193

ხუხუნაიშვილი, მანდენოვი, ჩიჩუა, ძველაია, მოისწრაფიშვილი, ქავთარაძე, გუგუშვილი, ჯაკობია, ძაგახია, ქაჯაია, თოდუა, ნუცუბიძე, გალდავა თანაუგრძნობენ ა. პ. ბოჯგუას
სოფიო ხოსიტაშვილის
გარდაცვალების გამო.

მშობლები: გრიგოლ, ალათი; ძმები: ანდრო, ავქსენტი, საშა, ბათუა; რძლები: ირა, რაისა, თამარ იუწყებიან
გალინა კვანტალიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. კულაშში 21/VII-ს 7185

მშობლები: კატია, მიხეილ ხოჭოლავები, და თამარ; ძმები: სერგო და ალია იუწყებიან
მიშუტას
გარდაცვალებას. გამოსვენება 20/VII 5 ს. კლდიაშვილის, 13. პანაშვიდი 7 ს. 7185

ცოლი მარო, ძმა ვასო, ცოლის ძმისშვილი ლადო დგებუაძე, რძლები: ელენე და თალიკო იუწყებიან
სერაფიონ გიორგის-ძე მიქიაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ზუგდიდში 20/VII 6 ს. სტალინის, 112. 7187

და ლიდა კვანტალიანი, გოგი კავთელაძე დედით ელენეთი იუწყებიან
გალინა კვანტალიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/VII სოფ. კულაშში. 7191

სასამართლოს ქუჩაზე № 36 მცხოვრები მეზობლები იუწყებიან
სოფიო პეტრეს-ასულ ხოსიტაშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 19/VII. 7192

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა—3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის 3—81—84, სასოფლო-სამეურნეოს—3—73—40, ეკონომიურისა და განათლება-ჯანმრთელობის 3—80—83 ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის—3—80—84 წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის და გამომშვების—3—51 65, გამომცემლობის—3—51—81 სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული აა—160